# იმედი +

13

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველთვიური ჟურნალი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის
№ 2 (36) დეკემბერი 2013წ.

1713
2013

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 2014

## დღეს და მრავალწელს

დღეს და მრავალ წელს, დღეს და მრავალ წელს,
როცა ახალ წლის დილა დგებოდეს,
მხოლოდ დიდება შენს გზა-სავალზე,
მხოლოდ დიდება დაგბედებოდეს,

დღეს და ყოველ თვის, როცა ახალ წელს,
დილის მზის სხივი შენს მთებს წვდებოდეს,
ასი ათასი, ასი ათასი
მხოლოდ მშვიდობა დაგბედებოდეს!

დღეს და ყოველწელს, დღეს და ყოველ წელს,
არ ძველდებოდე, არ ბერდებოდე, –
უხვად მოგეცეს, უხვად მოგეცეს,
მზე და ბარაქა დაგბედებოდეს!

კვლავაც ძლიერი, კვლავაც მაგარი,
როგორც ფოლადი, როგორც გრანიტი,
ბევრი სახლ-კარი, ბევრი აკვანი,
ბევრი ლხინი და თვალ-მატგალიტი!

დღეს და მრავალ წელს, დღეს და მრავალ წელს,
როცა ახალ წლის დილა დგებოდეს
–მხოლოდ დიდება შენს გზა-სავალზე,
მხოლოდ დიდება დაგბედებოდეს!

*ირაკლი აბაშიძე*

იმედი+

იყიდეთ ფურნალი „იმედი +"

ISSN1987-7161
977198771600

**მთავარი რედაქტორი**

თეიმურაზ მიქიაშვილი
593 33 5887
ps_imediplus@yahoo.com

**რედაქტორის მოადგილე**

მაია ასაკაშვილი
asakashvili_maia@yahoo.com

**გამომცემელი რედაქტორი**

გოჩა ვარდოსანიძე
593 91 66 82
govardosa@hotmail.com
ngo.pidea@gmail.com

**დიზაინერი**

სოფო ტარყაშვილი
592 534466

**გამომცემელი**

კავშირი იმედი პლიუსი

**საკონტაქტო ინფორმაცია**

ქ. თბილისი. ჭავჭავაძის გამზ. N66.
მე-2 სადარბ. ბ. 12
+ 995 223 22 60
+ 995 593 33 5887
+ 995 593 91 6682
pr_imediplus@yahoo.com

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ფავორიტი სტილის“ სტამბაში.
თბილისი.0163. ჩუბინიშვილის ქ. N50

მიეძღვნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღეს ....2
ტრადიციული გამოფენა გაყიდვა ....3
პენსიები, პედაგოგების ხელფასები, სამედიცინო დახმარება და შემწეობები - არცერთი მათგანი არ ჩავარდება ....4
ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ინიცირებით შშმპ კონვენციის რატიფიცირება მოხდება ....4
ვიქტორია ნულანდის ვიზიტი საქართველოში ....5
საქველმოქმედო საღამო „პირველი ნაბიჯი საქართველოსათვის“ ...6
სოჩის 2914 წლის პარალიმპიური თამაშები ....7
ჩვენ ვიცავთ ჩვენს უფლებებს ....7
ლიტერატურული შემოქმედება ....10
რატომ გრძნობს ადამიან თავს ინვალიდად? ....11
სამკურნალო პედაგოგიკის როლი ჯანმართვის სანოგენეზურ რგოლში ....12
ახლადდაბადებული ბავშვის წერილი მშობლებს ....14
ინკლუზიური ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში ....15
ყინულმა დნობა დაიწყო ....17
ბავშვის ინვალიდობა, როგორცა ოჯახის ღრმა და ხანგრძლივი სოციალური დეზადაპტაციის მიზეზი ....20
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე - ბავშვები და საზოგადოება ....21
ზოგადი ცნობები მეტყველების განვითარების შესახებ ....24
ძალადობის ფაქტები შშმ ბავშვთა და მოზარდთა დაწესებულებებში ....27
არასამთავრობო ორგანიზაციათა პეტიცია....28
რეაბილიტაცია ....29
სპეციალური ვარჯიშთა კომპლექსი (ცერებრული დამბლის მქონე პირთათვის) ....30
დიდი მეფის და სარდლის სიკვდილი ....31
მეთერთმეტე კლასელის გამოგონება ....31

**ჟურნალი გამოდის მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის მხარდაჭერით.**

**ჟურნალის პარტნიორია – არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების ასოციაცია.**

ჟურნალი გამოდის 2009 წლის იანვრიდან

*გარეკანის პირველ და მე-3 გვერდზე თეიმურაზ მიქიაშვილის ფოტო*

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის მოსაზრება შეიძლება არ ემთხვეოდეს სტატიის ავტორის მოსაზრებებს. ჟურნალში გამოქვეყნებული ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს სტატიის ავტორი, ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება ერთი თვის განმავლობაში, აღნიშნული ვადის გასვლის შემ დეგ პრეტენზია არ მიირება.

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების და ფოტოების გადაბეჭვდვა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე აკრძალულია. სარეკლამო მასალების შინაარსსა და სტილზე პასუხისმგებელია შემკვეთი.

## ეიუკლუნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღეს

3 დეკემბერს, რედისონში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს პრემიერ–მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, აშშ–ს სრულ უფლებიანი ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, საქართველოს მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციების, დიმპლომატიური კორპუსის, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასობრივი მედია საშუალებების წარმომადგენლები.

ღონისძიება გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ მხარდაჭერილი "შეზღუდული შესაძლებლობის ადვოკატირების პროექტის" ფარგლებში, რომელსაც კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის„ ახორციელებს.

შეხვედრის მონაწილეებმა მოკლედ შეაჯამეს საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არსებული პოლიტიკა და განხორციელებული პროგრამები, ასევე იმსჯელეს შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის სამთავრობო სამოქმედო გეგმის ეფექტური განხორციელების გზებზე.

როგორც სიტყვით გამოსვლაში პრემიერმა აღნიშნა, სწორედ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დამოკიდებულება არის ის სფერო, რომლითაც ყველაზე მკაფიოდ ჩნდება, რა გზას ადგას სახელმწიფო. «მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა აქტიური მონაწილეობით მომზადდა და უახლოეს დღეებში დამტკიცდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014 -2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა, სადაც გათვალისწინებულია კონვენციის პრინციპები და ვალდებულებები. კერძოდ, ცნობიერების ამაღლება, ხელმისაწვდომობა და ინდივიდუალური მობილურობა, აზრისა და შეხედულებების გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა,აბილიტაცია და რეაბილიტაცია, შრომა და დასაქმება, სოციალური დაცვა, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა, კულტურულ, რეკრეაციულ, გასართობ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა, სტატისტიკა და მონაცემთა შეგროვება, აგრეთვე მონიტორინგის საკითხები,»-განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ასევე თქვა, რომ უახლოეს დღეებში საქართველოს მთავრობა დაამტკიცებს შშმ პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარებითი ელემენტების ტექნიკურ რეგლამენტს, რომლის მიზანიც შშმ პირების გარემო პირობებთან ადაპტაცია და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობაა. თუმცა შშმ პირების უფლებებზე საუბრისას პრემიერმა თავისი წილი პასუხისმგებლობა, ხელისუფლების გარდა, საზოგადოებასაც დააკისრა:

„ვერც ერთი სოციალური შეღავათი, ვერც ერთი სახისა და ოდენობის დახმარება ვერ გაუჩენს მათ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრის განცდას, თუკი საზოგადოება მათ მიმართ ინერტული დარჩება. მაგრამ მე მჯერა, რომ ჩვენ ხელისუფლება, საზოგადოების მხარდაჭერით მივაღწევთ იმას, რომ შშმ პირების ცხოვრება თვისებრივად შეიცვალოს და სწორედ ამ სფეროში განხორციელებული ცვლილებები გახდეს ჩვენი სახელმწიფოს ჰუმანურობის მთავარი ნიშანი".

კავშირი „გენცი 2013„, რომლის მიზანია შ.შ.მ პირების უფლებების დაცვა, უპირველესად მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია, კულტურულ-საგანმანათლებლო განვითარება და ა.შ. შშმ პირთა უფლებების დაცვის დღეს გამართა შ.შ.მ პირების ნამუშევრების გამოფენა და ფართო საზოგადოებას გააცნო მათი შესაძლებლობები. დღის მეორე ნახევარი მიეძღვნა დიდ საკონცერტო განყოფილებას, სადაც მონაწილეობდნენ ანსამბლები:„აღსავალი„, „დიდგორი„ „კვირია„, „იალონი„, „ნადი„, „ლაგუშედა„. თავიანთი ნაწარმოებები წაიკითხეს პოეტებმა, ბატონმა ირაკლი არღვლიანმა და ქალბატონმა მიმოზა ცანავამ. კონცერტში აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს ლუკა მანაგაძემ და ლადო ინასარიძემ, რომლებმაც შეასრულეს ქართული ტრადიციული სიმღერები.

გამოფენა დაყიდვა და კონცერტი ჩატარდა სამების საკათერო ტაძართან არსებული ახალგაზრდული ცენტრში.

გოჩა ვარდოსანიძე

# ტრადიციული გამოფენა გაყიდვა

ქალთა საერთაშორისო ასოციაცია საქართველომ (IWAG) მიმდინარე წლის 7 დეკემბერს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასს„–ში გამართა გამოფენა–გაყიდვა. აღნიშნული გამოფენა გაყიდვა ქალთა საერთაშორისო ასოციაცია საქართველომ პირველად 1999 წელს ჩაატარა და ტრადიციულად ყოველ წელს იმართება. ამ აქციის შედეგად შემოსული თანხა ხმარდება მზრუნველობამოკლებულ ან განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ქალებს, ბავშვებს და მოხუცებს. 2013 წლის გამოფენა გაყიდვის ბენეფიციარი იყო საქართველოს პორტიჯის ასოციაცია, რომელიც სპეციალურად შეიქმნა დაბადებიდან 7 წლამდე ასაკის განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის. პორტიჯის სპეციალური განათლების პედაგოგები, ფსიქოლოგები და ფიზიკური აღზრდის სპეციალისტები ამჟამად 62 ბავშვს აერთიანებენ.www.portage.ge

IWAG–ის საახალწლო გამოფენა–გაყიდვა წარმოადგენს ფინანსების მოზიდვის მიზნით ორგანიზებულ უმსხვილეს ღონისძიებას მრავალი ქართველი ხელოვანის და ხალხური რეწვის ავტორის, კომპანიის და ორგანიზაციის, სხვადასხვა ქვეყნების საელჩოებისა და საკონსულოების (ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, საფრანგეთის, ავსტრიის, სომხეთის, ჩინეთის, იაპონიის, ლატვიის, ნიდერლანდების, შვეიცარიის, თურქეთის, დიდი ბრიტანეთის, უკრაინის, ყატარის, ბრაზილიის, პოლონეთის) მონაწილეობით. ასევე მოეწყო სკანდინავიური ქვეყნების კუთხე და წელს პირველად ოფიციალურად იყო წარმოდგენილი საქართველოს საგარეო საქმეთა, კულტურის, სიფლის მეურნეობის სამინისტროების და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერა.

7 დეკემბრის გამოფენა–გაყიდვაზე, საელჩოებთან ერთად წარმოდგენილი იყო უამრავი ქართველი ხელოვანის ნაწარმი, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას წარმოებული პროდუქცია, ინტერნაციონალური სამზარეულო მრავალი ქვეყნის მონაწილეობით და ბავშვების გასართობი ოთახი, სადაც ბავშვებს სანტა კლაუსი ესტუმრათ. ასევე მოეწყო ლატარია და მეორადი წიგნების გამოფენა–გაყიდვა.

აღნიშნული საქველმოქმედო ღონისძიების სპონსორები იყვნენ სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასი, ნატახტარი, კაპაროლი, ჰაიდელბერგ ცემენტი, კნაუფი, მეღვინეობა ხარება, ქიმერიონი, კერხერი, ბანკი რესპუბლიკა, რენტალსი, ომეგა

თეგი, ბრიტანული ქართული აკადემია, ბიოლაინ ჯატო, ორიფლეიმი, ელიტ ელექტრონიქსი, ვისოლი და სუპერმარკეტების ქსელი სმარტი, უკრაინული რესტორანი „კობზარი„, ტეხასური ქათამი და მრავალი სხვა.

IWAG წარმოადგენს არაკომერციულ, არასამთავრობო ორგანიზაციას და ქალთა საერთაშორისო ასოციაციის მსოფლიო ქსელის ნაწილს. ასოციაცია ცდილობს გააღრმაოს მისი უცხოელი წევრების მიერ საქართველოს და ქართული კულტურის შეცნობა და გაუადვილოს უცხოელებს მშობლიური ქვეყნებიდან შორს ცხოვრება და მუშაობა. IWAG ახორციელებს საქველმოქმედო პროექტებს და მისი მთავარი მიზანია სოციალურად დაუცველი ქალების, ბავშვებისა და მოხუცების დახმარება.

## პენსიები, პედაგოგების ხელფასები, სამედიცინო დახმარება და შემწეობები - არცერთი მათგანი არ ჩავარდება

ეკონომიკის მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის განაცხადა, რომ ბიუჯეტში 700 მილიონამდე გარღვევა პენსიებზე, პედაგოგების ხელფასებსა და ჯანდაცვაზე გავლენას არ მოახდენს. მისი თქმით, დაუფინანსებელი დარჩება ინფრასტრუქტურული პროექტები, ბიუჯეტში გარღვევა ასევე იმოქმედებს სახელმწიფო შესყიდვებსა და სამინისტროების დაფინანსებაზეც.

„ის, რომ ბიუჯეტს დააკლდა თანხა, ეს არის ძალიან ცუდი, მაგრამ შედეგი შეიძლებოდა უფრო უარესიც ყოფილიყო და უფრო მეტი გარღვევა გვქონოდა ბიუჯეტში. ასე თუ ისე, ზრდა გვაქვს ეკონომიკაში 2-2,5 % ფარგლებში, წლის ბოლოს დავამთავრებთ ზრდით. პენსიები, პედაგოგების ხელფასები, სამედიცინო დახმარება და შემწეობები - არცერთი მათგანი არ ჩავარდება. იქნება დაუფინანსებელი მუხლები, ეს არის, ძირითადად, ინფრასტრუქტურული მიმართულებით და იმ პროექტების მიმართულებით, რომლებიც გადაიხედა წლის დასაწყისში. არის სამინისტროების დაფინანსების, ანუ სახელმწიფო სექტორის დაფინანსების მიმართულებით დაუფინანსებელი მუხლები, მაგრამ ეს არ არის ტრაგედია, იმიტომ რომ ჩვენ გრძელვადიან, სერიოზულ ცვლილებებში შევედით,“- განაცხადა კვირიკაშვილმა გადაცემაში „დიდი პოლიტიკა.

ეკონომიკის მინისტრის განცხადებით, უმთავრესი, რაც ქვეყანაში ბოლო წელს მოხდა, იყო ის, რომ ბიზნესი გათავისუფლდა ზეწოლისგან და მოხდა ეკონომიკის დემონოპოლიზაცია.

---

**გილოცავთ !**
**პარლამენტმა ერთხმად მოახდინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ რატიფიკაცია. პარლამენტის პლენარული სხდომა**

**ხუთშაბათი, 26 დეკემბერი 2013 22:29**

პარლამენტის რიგგარეშე სესიის მორიგმა პლენარულმა სხდომამ მუშაობა დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვით დაიწყო. პარლამენტმა თავდაპირველად დაჩქარებული წესით განსახილველ კანონპროექტებზე იმსჯელა.

სხდომაზე სარატიფიკაციო დოკუმენტებზეც იმსჯელეს. მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის„, კონვენციის ფაკულტატური ოქმის თანდართული დეკლარაციის გათვალისწინებით.

გარდა იმისა, რომ კანონმდებლებმა რამდენიმე ათეულ კანონპროექტს დაუჭირეს მხარი, პარლამენტმა 91 ხმით, ერთხმად მოახდინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის„, კონვენციის ფაკულტატური ოქმის თანდართული დეკლარაციის გათვალისწინებით, რატიფიკაცია.

http://parliament.ge/

გოჩა ვარდოსანიძე

# ვიქტორია ნულანდის ვიზიტი საქართველოში

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამობრძანდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვიქტორია ნულანდი. საპატიო სტუმარი საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად სახელმწიფო კანცელარიის წინ USAID-ის მიერ დაფინანსებული ადაპტირებული შესასვლელის გახსნას დაესწრო. „მე არა ერთხელ მითქვამს და მინდა კიდევ გავიმეორო, რომ ქვეყნის იმიჯი განიზომება იმით, თუ როგორ ზრუნავ საკუთარ მოქალაქეზე. სახელმწიფოს ვალია შეზღუდული შესაძლებლობის პირებს ყოველმხრივ ხელი შეუწყოს საზოგადოებაში სრულფასოვან ინტეგრაციაში, შეუქმნას

მათ ყველა პირობა ღირსეული ცხოვრებისათვის. ჩვენი ვალია და მეტად მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ზრუნავდეს თავის მეომრებზე, ჩვენს ვეტერანებზე, რომლებიც დაზარალდნენ სამხედრო მოქმედებებში.“ - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოს მთავრობის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ზრუნვის თაობაზე კომენტარი გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ვიქტორია ნულანდმა: „აშშ-ს მთავრობა ამაყობს იმით, რომ მხარს უჭერს საქართველოში კერძო და საჯარო სექტორის ძალისხმევას, რომ ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის ფიზიკური და ეკონომიკური ბარიერების გადალახვას. ეს პანდუსი, რომელსაც დღეს ვხსნით, ყველაზე უკეთ გამოხატავს, თუ როგორ ზრუნავს საქართველოს მთავრობა თავის მოქალაქეებზე.“

მთავრობის კანცელარიასთან პანდუსის გახსნას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია და მთავრობის სხვა წევრებიც დაესწრნენ: „ჩვენ გვაქვს დაჭრილი მეომრების ცალკე პროგრამა, რომელიც უკვე ამუშავდა. ყველა ჩვენს დაჭრილ მეომარს, ამპუტირებულს, ჩვენი ხარჯებით ამერიკაში პროტეზირებას გავუკეთებთ. ეს არ შეეხება მხოლოდ საერთაშორისო ოპერაციების

დროს დაშავებულ ვეტერანებს. ეს გავრცელდება მთლიანად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაჭრილებსა და დასახიჩრებულებზე.“ - განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ.

აღნიშნულ ღონისძიებაზე იმყოფებოდნენ 2008 წლის აგვისტოს ომში, სამშვიდობო მისიებსა და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაშავებული სამხედრო მოსამსახურეები და სხვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

მთავრობის გადაწყვეტილებით, 5 წლის განმავლობაში, ყველა სახელმწიფო მნიშვნელობის შენობა აღიჭურვება ადაპტირებული ინფრასტრუქტურით.

## საქველმოქმედო საღამო „პირველი ნაბიჯი საქართველოსთვის“

18 დეკემბერს, სასტუმრო რედისონ ბლუ ივერიაში საქართველოს ბანკსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „პირველი ნაბიჯი საქართველოს„ შორის თანამშრომლობის შედეგად გაიმართა ზამთრის საქველმოქმედო გალა კონცერტი. „პირველი ნაბიჯი საქართველო“, რომელიც ნინი ქადაგიძე-ჟვანიას და ქეინ ქორბოის დაარსებული ორგანიზაციაა საქართველოში, ყოველწლიურად ატარებს ხსენებულ ღონისძიებას, რომლის მიზანია ფინანსური სახსრების მოზიდვა მძიმე ფიზიკური და ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე საკუთარი ბენეფიციარებისათვის. არასამთავრობო ორგანიზაცია „პირველი ნაბიჯი საქართველო“ მათ უზრუნველყოფს უმნიშვნელოვანესი მაღალი ხარისხის მომსახურებით, რომლებსაც ისინი მოკლებულნი იყვნენ. ღონისძიების შედეგად შემოსული სახსრები მთლიანად მოხმარდება „პირველი ნაბიჯი საქართველოს“ მიერ დაგეგმილ პროგრამებსა და ღონისძიებებში ჩართულ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებს, რომლებიც სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან არიან და საჭიროებენ დღის ცენტრის, ადრეული განვითარებისა და შინ მოვლის პროგრამებში ჩართვას.

აღნიშნულ ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ახალგაზრდა ქართველი ვირტუოზის, ჯაზის შემსრულებლის, „ჯულიარდის სკოლის„ სტუდენტის ბექა გოჩიაშვილის პირველი საქველმოქმედო კონცერტი, კონცერტში ასევე მონაწილეობას იღებდა ცნობილი ქართველი მუსიკოსი თამაზ ყურაშვილი და ახალგაზრდა ვოკალისტი ნატალია ქუთათელაძე. საღამოს პროგრამით აგრეთვე ჩატარდა აქ წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშების აუქციონი და გათამაშდა ლატარიის ბილეთები.

საქველმოქმედო საღამოს და ვახშამს ესწრებოდნენ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნესის სექტორის, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამ ფორმით გამოუცხადა მხდაჭერა საღამოზე დამსწრე საზოგადოებამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს და ხელი შეუწყო მათ განვითარებას და საზოგადოებაში ინტეგრაციას.

აღნიშნული ღონისძიების გენერალური სპონსორი გახლდათ სასტუმროების ქსელი „რედისონ ბლუ ივერია„, პლატინის სპონსორი - საქართველოს ბანკი, ოქროს სპონსორი - კომპანია „გალფი“, ხოლო ვერცხლის სპონსორი მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის.

ღონისძიებას ექსკლუზიურად აშუქებდა ტელეკომპანია „რუსთავი-2“.

## სოჩის 2914 წლის პარალიმპიური თამაშები

სოჩის 2914 წლის პარალიმპიური თამაშები (ოფიციალურად - ზამთრის— XI პარალიმპიური თამაშები) ჩატარდება 2014 წლის 7 დან 16 მარტამდე ქ. სოჩში (რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა). წარმოდგენილი განაცხადის მიხედვით აღნიშნულ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად ჩამოდის 47 ქვეყნის 692 სპორტსმენი.

თამაშებში გათამაშდება ხუთი პარალიმპიური სპორტის სახეობაში მედლების 75 კომპლექტი:

- სამთო-სათხილამურო სპორტში - 30
- თხილამურებით რბოლაში - 20
- ბიატლონში - 18
- პარალიმპიურ სნოუბორდში - 2
- საინვალიდო ეტლებით კარლინგში - 1
- ჰოკეიში - 1

სოჩის 2014 წლის პარალიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილია ორი ახალი დისციპლინა: ბიატლონში - მოკლე მანძილზე რბოლა (გათამაშდება მედლების 6 კომპლექტი) და კროსი პარალიმპიურ სნოუბორდში (მედლების 1 კომპლექტი).

2014 წლის პარალიმპიური თამაშების ემბლემა წარმოდგენილი იყო 2009 წლის 12 დეკემბერს. მის განმასხვავებელი ძირითადი ელემენტებია პარალიმპიური მოძრაობის სიმბოლო - წითელი, ლურჯი და მწვანე ნახევარსფეროები.

სოჩის 2014 წლის პარალიმპიური თამაშების

თილისმა კი არის - მზის სხივი თოვლის ფიფქთან ერთად. ამ თილისმის ძირითადი პერსონაჟები შერჩეული იქნა თვით პარალიმპიური თამაშების ცნობილი ჩემპიონების და პროზიორების გამოკითხვის შედეგად. თილისმის ჟიურის მიერ შერჩეულ წარმოდგენილ ვარიანტებს შორის, იყო ორი ფანტასტიკური პერსონაჟი, რომელზედაც შეაჩერეს თავისი არჩევანი პარალიმპიელებმა.

sochi.ru 2014 paralympic games

მაია ასაკიშვილი

# ჩვენ ვიცავთ ჩვენს უფლებებს

## 2013 წელი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის წელი და მათი დარღვეული უფლებები

**შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მდგომარეობისგან დაზღვეული არავინ არის, ეს თუ გაითავისე, პირველი ნაბიჯი გადადგმულია რომ სრულყოფილი მოქალაქე გახდე, შემდეგ იწყება ძნელად სავალი გზა, რათა შეცვალო საკუთარი თავი, ოჯახი, მეგობრები და საზოგადეობა.**

**ყოველი ჩვენგანი თავისსავე ქვეყანაში მაშინ იგრძნობს უსაფრთხოდ თავს, როცა დაინახავს, როგორ სცემენ პატივს ბავშვებს, შშმ პირებსა და მოხუცებს, როცა შეზღუდული შესაზლებლობის მქონე ადამიანებს ექნებათ ისეთივე უფლებები, როგორც ქვეყნის ყველა მოქალაქეს, როცა ისინი ისწავლიან, იცხოვრებენ ჩვეულებრივი ცხოვრებით, როგორც ყველა ჩვენგანი. სამწუხაროდ, ისინი ხშირად დისკრიმინაციის მსხვერპლი ხდებიან. მათი უფლებები ირღვევა ადამიანთა სტიგმის, გულგრილობისა და გაუცხოების გამო, ეს სამწუხარო რეალობაა. კიდევ უფრო სამწუხაროა, როცა ამ საკითხებს გულგრილად ტოვებენ ის სახელმწიფო სტუქტურები, ვისაც ხელეწიფებათ და ვალდებული არიან ქვეყანაში აღნიშნული საკითხების მოგვარება.**

**ბოლო დროს გახშირდა სოციალურად დაუცველთა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი მოქალაქეების მხრიდან სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შენობა - ნაგებობებში შეჭრა, მათი პრობლემები დღემდე მოუგვარებელია, საქმე იქამდე მივიდა, რომ ეს ადამაინები შშმ პირთა უფლებების დამრღვევებად იქცნენ.**

კონკრეტულ ფაქტს გიამბობთ ორგანიზაციაზე, რომელიც ერთი წელია დადის დაწესებულებიდან დაწესებულებაში, არ დარჩა სტრუქტურა, ვისაც არ მიმართა, არ დარჩა მედია-საშუალება, სადაც ეს საკითხი არ გაშუქდა, მაგრამ პრობლემა ისევ მოუგვარებელია.

„სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია" 1997 წელს დაფუძნდა შშმ პირთა მშობლების მიერ. დღიდან დაარსებისა, ორგანიზაციამ სხვადასხვა საერთაშორისო დონორისა თუ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა შშმ პირთა დასახმარებლად.

შშმ პირთა, განსაკუთრებით, ინტელექტუალური შეზღუდვის მქონეთა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება და სოციალური ინტეგრაცია რთული პრობლემაა. ისინი მოუმზადებელნი არიან რეალური ცხოვრებისთვის, არ აქვთ ხელობა, რომ დასაქმდნენ, უჭირთ შრომით ბაზარზე გასვლა. ინტელექტუალური შეფერხების მქონე პირებს ესაჭიროებათ დამხმარე ალტერნატიული სერვისები: ფუქნციონალური მიდგომის პრინციპით, ინდივიდის ძლიერი მხარეების მულტიდისციპლინური შეფასების საფუძველზე, პროფესიული გადამზადების სახელობო და დასაქმების ცენტრების ამოქმედებისა და განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის დაცული სახელოსნოებისა და შრომითი თერაპიის სახელოსნოების ამოქმედება, მათ საჭიროებებზე მორგებულ სახელოსნოებში ჩართვა, შრომითი აქტივობის საწარმოების შექმნა და ამ გზით გასვლა შრომით ბაზარზე.

ჩვენი ორგანიზაცია 2005 წლიდან განთავსებუ-



ლი იყო ნაძალადევის რაიონში, თემქაზე, გია ირემაშვილის ქ. №1-ში, ყოფილი სკოლა-ინტერნატის შენობაში. (რომლის დირექტორი და სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე მე გხალდით). შენობაში ფუნქციონირებდა ინტეგრირებული ცენტრი ინვალდობის მქონე ახალგაზრდებისთვის, ისინი ეუფლებოდნენ სხვადსხვა ხელსაქმეს, მუშაობდნენ თექაზე, გობელენზე, აკეთებდნენ სხვადასხვა აქსესუარებს, თოჯინებს, მონაწილეობდნენ გამოფენებსა და ღონისძიებებში.

ორგანიზაციამ მიიღო დაფინანსება ამერიკის საელჩოდან – ხელშეკრულების ნომერი (შ-800-12Gღ-180/001) ინვალიდობის მქონე პირთა მინი-სტამბის ასამოქმედებლად, დონორმა შეგვი-

ძინა ძვირადღირებული ტექნიკა, რომელიც აღნიშნულ შენობაში უნდა განთავსებულიყო, სადაც ინვალიდობის მქონე პირებს კომპიუტერზე მუშაობა და პოლიგრაფიული საქმიანობა უნდა შეესწავლათ, დასაქმებულიყვნენ, რაც ხელს შეუწყობდა თავიანთი ადგილი ეპოვათ საზოგადოებაში.

დონორთან ხელშეკრულება გაფორმებულია, პროექტს ვერ ვახორციელებთ, რადგან 2012 წელს, 26 ოქტომბერს სკოლა-ინტერნატის შენობაში შემოიჭრნენ გაურკვეველი პირები. როგორც დევნილთა სამინისტროდან შემდგომ გვაცნობეს, ,,თვითმარქვია" დევნილები, დაიკავეს ოთახები, დაარბიეს შენობა, ინვენტარი, 27 ოქტომბერს დილით ქუჩაში გამოყარეს ჩვენი ბენეფიციარები, მოიტანეს საწოლები და თვითნებურად დაიკავეს შენობა, ჩაშალეს სასწავლო პროცესი, დაირღვა შშმ პირთა უფლებები და შეიქმნა ფორს-მაჟორული სიტუაცია. შეფერხდა პროექტის განხორციელება, რაც დონორებთანაც ართულებს სიტუაციას. ბენეფიციარები სტრესულ მდგომარეობაში არიან.

უკანონოდ შეჭრილი პირები დღემდე აგრძელებენ თვითნებურ ქმედებებს, მოიტანეს სამშენებლო მასალა, დაიწყეს კედლების ნგრევა-დემონტაჟი, სველი წერტილების რეკონსტრუქცია, ფართის უკანონოდ შემოკავება, ინვენტარი გაანადგურეს, კარებებზე დაადეს ბოქლომები, შენობაში ცხოვრობს აფხაზეთიდან დევნილი 4 ოჯახი, რომლებიც ჯერ კიდევ სკოლის ფუნქციონირების დროს ცხვრობდნენ ასევე უკანონოდ.

აღძრულია საქმე სახელმწიფო ქონების ხელყოფა-დაზიანების მუხლით, პასუხს არავინ არავის სთხოვს, სკოლის სპორტდარბაზში სახლი ააშენეს, იგეგმება სხვა კაპიტალური მშენებლობა აღნიშნულ შენობაში. იყო დევნილი ან სოციალურად დაუცველი არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფრის უფლება გაქვს, მით უმეტეს სხვისი უფლების დარღვევის, უკანონო მშენებლობისა და სახელმწიფო ქონების დაზიანების ხარჯზე. ჩვენ რომ სადმე შევჭრილიყავით ხომ დავისჯებოდით? რატომ არ არის კანონი ყველასთვის ერთი? რატომ დუმს დევნილთა სამინისტრო, ნაძალადევის რაიონის გამგეობა? სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან რატომ არ სრულდება ადმინისტრაციული საქმის წარმოება, როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს უაკნონობა ?

შესაბამის სტრუქტურებს არაერთხელ მიმართა სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტომ თხოვნით, (წერილებს ვაქვეყნებთ დანართის სახით), საქმე აღსრულებაზეა გადაცემული, მაგრამ აღსრულება დღემდე არ ხორციელდება.

მიუხედავად ჩვენი ორგანიზაციის არაერთგზის მცდელობისა, სამთავრობო სტრუქტურებისადმი მიმართვისა, სატელევიზიო გამოსვლისა, არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

გარდა ამისა, სიტუაცია უკონტროლოა, ჩვენ არ გვეძლევა შენობაში შესვლის შესაძლებლობა, ბენეფიციარები დარჩნენ ქუჩაში, შეფერხდა დღის ცენტრის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაც, რის გამოც იძულებული გავხდი, ბენეფიციარებისთვის საკუთარი სახლის ფართი უსასყიდლოდ დამეთმო. აღნიშნული შენობის ჩვენს ორგანიზაციაზე უზურფრუქტით გადცემის საკითხი განხილვის პროცესშია პრემიერ–მინისტრთან არსებული შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო საბჭოსა და ეკონომიკის სამინისტროში შექმნილი კომისიის ფორმატში.

ჩვენ ვაცნობიერებთ სოციალურად დაუცველი ადამიანების, ასევე დევნილთა პრობლემას, მაგ-









რამ არანაკლებ მტკივნეული და პრიორიტეტულია ინვალიდობის მქონე პირთა პრობლემაც.

ჩვენი თხოვნაა, ხელი არ შეეშალოს ჩვენს მიერ დაწყებულ კეთილშობილურ საქმეს, წლების მანძილზე გაწეულ რუდუნებით აღსავსე შრომას, რაც ჩვენ, მშობლებმა, ინვალიდობის მქონე პირებმა და დარგის პროფესიონალებმა გავწიეთ ამ შენობის მოვლა-პატრონობასა და შენარჩუნებისთვის.

2013 წელი გამოცხადდა შშმ პირთა წლად, ჩვენი პრობლემა ისევ მოუგვარებელია, არავინ გვაქცევს ყურადღებას. ჩვენ გვაქვს უსამართლობის განცდა.

სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაციის წევრები თხოვნით მივმართავთ შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს, უფლებადამცველ ორგანიზაციებს, საქართველოში მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციებს, სამოქალაქო საზოგადოებას – ვთხოვთ, დაინტერესდნენ ჩვენი საკითხით, გვიაშუამდგომლონ საქართველოს მთავრობასთან, დევნილთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან, რათა მოხდეს საკითხის ხელახალი შესწავლა, სოციალურად დაუცველი და დევნილი მოქალაქეებისთვის ალტერნატიული ფართის შეთავაზება, უკანონოდ დაკავებული შენობის გამონთავისუფლება. რაც შესაძლებლობას მისცემს ეკონომიკის სამინისტროს კომისიის სხდომაზე დღის წესრიგში შეიტანოს ჩვენი საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება თემქაზე, გია ირემაშვილის ქ.№1-ში მდებარე ყოფილი სკოლა-ინტერნატის შენობის, საკადასტრო კოდი #01.12.03.016.017 უზურფრუქტით ჩვენს ორგანიზაციაზე გადმოცემის თაობაზე. ამით ხელს შეუწყობთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დღის ცენტრის სახელმწიფო პროგრამისა და ამერიკის საელჩოს პროექტის ნორმალურ პირობებში განხორციელებას, შშმ პირთა სახელობო ცენტრის, როგორც ალტერნატიული სერვისის ამოქმედებას, შშმ პირთა გადამზადებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და სოციალურ ინტეგრაციას.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ საკითხით დაინტერესდება საქართველოს პრეზიდენტი ბატონი გიორგი მარგველაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი და პირად კონტროლზე აიყვანენ ამ საკითხს, დევნილთა სამინისტრო დაინტერესდება შენობაში განთავსებული დევნილი მოქალაქეების ბედით და ერთხელ და სამუდამოდ დააკმაყოფილებს იქ მცხოვრები 5 გაჭირვებული ოჯახის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხს, რომელსაც ისინი 20 წელია ელიან, ნაძალადევის რაიონის გამგეობა მოაგვარებს უკანონოდ შეჭრილი სოციალურად დაუცველი მოქალაქეების უზრუნველყოფის საკითხს, შინაგან საქმეთა სამინისტრო ხელს შეუწყობს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, როგორც ქონების მესაკუთრეს, მოახდენს № 7/3228 21.XI.2012 და №7/6834 27.03.2013წ განცხადებებზე რეაგირებას, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის შესახებ №747 ბრძანება აღსრულებას.

დაგვეხმარეთ სამართლიანობის აღდგენაში. ჩვენს ორგანიზაციას სამოქალაქო მხარდაჭერა ესაჭიროება.

ნუ აქცევთ შშმ პირებს საზოგადოებისგან დევნილად!

***P.S. ჟურნალი „იმედი+"-ს რედაქცია თვალყურს მიადევნებს წერილში წამოჭრილ პრობლემას, სახელმწიფო სტრუქტურების მრხიდან სათანადო რეაგირების პროცესებს და უახლოეს მომავალში შედეგებს ამცნობს ფართო საზოგადოებას.***

# ლიტერატურული შემოქმედება

## ამირან ღოღაძე



### განალური ჭეშმარიტება

შენ არავინ არა გკითხავს,
ასეთია ღვთის ნება..
შენ იმიტომ მოევლინე
სიცოცხლის ხეს კვირტებად,
რომ ყვავილი გამონასკვო
და ნუ გაგიკვირდება:
ზოგი მკვდარი იბადება,
ზოგი მოდის ნისლებად,
ყველა კაცი კი არ კვდება, -
ზოგი გარდაიცვლება.
ამაოა ამა სოფლის

დაფნა, ვერცხლი, დიდება.
შენ არავინ არა გკითხავს, -
ასეთია ღვთის ნება:
ჭეშმარიტი უკვდავება
სიკვდილს მერე იწყება.

### სულის წყაროსთან

სულის წყაროსთან ჩამოვჯექ
გვიანი მგზავრი, მწუხარი,
წყალი გადავსვი პეშვითა,
სიპებზე ნაჩუხჩუხარი;
ამ გზაზე ავლილ-ჩავლილსა
ყველას შანდობა ვუთხარი;
დამლოცვენ გაღმა სოფლიდან,
სულს გახსენება უხარის.

### ესკიზი

უსაწყისო და უსასრულო ცამ,
მზე ლიმონივით ჩაწურა ზღვაში.
ზეფირის ჩუმი მოისმის ლოცვა?
ხავერდს ხრინწები ერევა ხმაში.

პალმა ზღვის ზღაპარს ჰყვება ჩურჩულით,
ზღვა იმეორებს ნიჟარის შრიალს,
სანაპიროზე მზით გარუჯული
ჩაძინებული დევები ყრიან.

მესმის უცხო ხმა, ხმა არსაიდან,
კლდოვან ფერდობზე მოჟონავს სურო:
„სურათს ტილოზე ვერ გადაიტან,
მთელი არსებით რომ მოისურვო!“.

### შენდობის სონეტი

სულს ასაზრდოებს და არწყულებს მშვენიერება...
დააყურადე, ბრძნადმეტყველნი განგვიმარტავენ:
წარიწყმიდება, - თუ შეირყვნა წყაროს სათავე, -
ზეობს ბოროტი, - იფქლში ღვარძლი თუ გაერევა.
შრიალებს ქარში შვრიის ყანა, ოქროსღერება,
მწიფობაშია, დაპურდება, დაითავთავებს,
ტკბობა სიცოცხლით ჯერ კიდევ ღირს, მაშასადამე,
დაე, იხაროს, თუკი ულხინს, თუ ემღერება!
თორემ ივლისი აღარ გვაცდის იქნებ ხვალემდე,
ივლის, ივლის და ალმასივით ალესილ ცელით
ქვეყნიერებას მოთექავს და მოახავერდებს.
შენდობას ველი, ცრემლებით მაქვს თვალები სველი,
სხვა არვინ მივის, ღვთიშობელო, მეოხე, მცველი.
მრავალჭირნახულ ჩემს ცოდვილ სულს შემოგავედრებ!

საზოგადოების ყველაზე დაუცველი ნაწილის (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების) სოციალური მდგომარეობა წარმოადგენს ქაღალდზე არსებული კეთილდღეობის, ან უფრო სწორად, ზოგადად, საზოგადოების არაკეთილდღეობის ლაკმუსს; ხოლო ასეთი ადამიანებისადმი ჩვენი დამოკიდებულება ან დამოკიდებულების უსურვველობა, წარმოადგენს ჩვენი ადამიანურობის და, ამავე დროს, ჩვენში (პიროვნებაში) არსებული მორალური პრობლემების ინდიკატორს.

**თეიმურაზ მიქიაშვილი**

## რატომ გრძნობს ადამიანი თავს ინვალიდად?

მედიცინის პოზიციიდან ინვალიდად ითვლება ის ადამიანი, რომელსაც გააჩნია სხვადასხვა ხარისიხი (დონის) შეზღუდულობა გადაადგილებაში, მეტყველებაში, სმენაში, მხედველობაში, წერაში, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაში და ა.შ. ამრიგად, იქმნება ისეთი სიტუაცია, რომელშიც ინვალიდი აღიქმება, როგორც მუდმივად ავადმყოფი ადამიანი, რომელიც არ შეესაბამება განსაზღვრულ სტანდარტებს და, რომელიც არ აძლევს მუშაობის, სწავლის, განათლების, ჩვეულებრივ დაწესებულებებში შესვლის საშუალებას. აქიდან გამომდინარე, ყალიბდება აზრი, რომ ასეთი ადამიანები საზოგადოების ტვირთს წარმოადგენენ და ეს აზრი დღესდღეობით ჭარბობს, როგორც საზოგადოების დიდი ნაწილში, ასევე სახელისუფლებო წრეებშიც, რაც ინვალიდებს აქცევს იზოლაციაში და მათ უქმნის დისკრიმინაციულ პირობებს. თუმცა, ამ ბოლო დროს შეიმჩნევა საზოგადოების ინტერესის გამოღვიძება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მიმართ, მაგრამ ამას არ შეიძლება ვუწოდოთ არსებითი ცვლილებების სურვილი.

თავად ინვალიდების მიერ შექმნილი საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოძრაობები მოითხოვენ ინვალიდობა განხილული იქნას სოცილაურ ასპექტში. ეს მოთხოვნა ნათლად რომ იყოს აღქმული, მოდით შევადაროთ ზემოთ აღნიშნული ინვალიდობის განმსაზღვრელი ორო "მოდელი" და ჩავატაროთ აზრობრივი ექსპერიმენტი: ცდის პირად შევარჩიოთ ინვალიდობის მქონე ახალგაზრდა ადამიანი, მოსწავლე ან სტუდენტი, რომელსაც სურს ეწვიოს წიგნის მაღაზიას, ბიბლიოთეკას, აფთიაქს, ან ნებისმიერ საზოგადოებრივ დაწესებულებას. რა შეიძლება გადაეღობოს გადაულახავ ბარიერად მისი სურვილის განხორციელებას? თუ დავეყრდნობით სამედიცინო მოდელს, ლოგიკური იქნება პასუხი — რა თქმა უნდა ინვალიდის ეტლი, იმიტომ, რომ ის ინვალიდის ეტლზეზის!". ე.ი. აუცილებელი ცოდნის მიღების, მკურნალობის ჩატარების ან სხვა რამის მიღწევის მიზეზი ეტლია, რომელზედაც ის ზის. ხოლო თუ ამას შევხედავთ "სოციალური" მოდელის პრიზმიდან, წინააღმდეგობის მიზიეზი იქნება კიბეები, იმიტომ, რომ იგი წიგნის მაღაზიაში ვერ შევიდა წიგნის საყიდლად, ბიბლიოთეკაში ვერ შევიდა წიგნის წასაკითხად, აფთიაქს, ან სხვა სამკურნალო დაწესებულებას ვერ ეწვია და ა.შ. იმიტომ, რომ ეს შენობები თავის დროზე არ იყო დაპროექტებული შესაბამისი მოთხოვნილებების მიხედვით არქიტექტორების მიერ, რომლებიც წელთა სიმრავლის გამო აუცილებლად გახდებიან ინვალიდები. დააპროექტეს და არ გაითვალისწინეს ინვალიდების პრობლემები. მარტო შენობები კი არა, სულ ახლახანს რეკონსტრუირებულ რუსთაველის პროსპექტზე ვერ ნახავთ ვერც ერთ მიწისქვეშა გასასვლელს, სადაც მათ შეეძლებათ გადაადგილება. შეიძლება გაითვალისწინეს კიდეც და დააპროექტეს, მაგრამ მშენებლებმა, რომლებიც ყოველ კაპიკს უფრთხილდებიან გარკვეული მიზეზების გამო, პროექტის შესაბამისად არ შეასრულეს სამუშაო, და ამასთან ერთად, არ აღმოჩნდა ერთი ორგანიზაცია ან დაწესებულება, რომელიც მშენებლებს აიძულებდა კანონის ფარგლედბში პროექტის ამ აუცილებელი ნაწილის შესრულებას და აი, ამ მიზეზების გამო ამ ახალგაზრდას არ შეუძლია მიიღოს განათლება, იზრუნოს თავის ჯანმრთელობაზე, გამოვიდეს საზოგადოებაში და იცხოვროს სრულფასოვანი ცხოვრებით. გამოდის, რომ საინვალიდო ეტლი კი არ აიძულებს ადამიანს ინვალიდობას, არამედ, ამის მიზეზია ამ გარემოს შემქმნელი საზოგადოების მისდამი დამოკიდებულება და, რომელიც მხოლოდ ხაზს უსვამს და ამძიმებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანის ყოფიერებას. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ფიზიოლოგიური თავისებურებები და გადახრები კი არა, არამედ გარშემო არსებული ბარიერები, ცოდნისა და განათლების მიღების, თუ ღმერთმა ქნა, მუშაობის დაწყების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენების და ა.შ. შეუძლებლობა აიძულებს ადამიანს თავი იგრძნოს ინვალიდად. მუდმივად შეახსენოს იმის შესახებ, რომ ის ინვალიდია. დიახ, გარშემო არსებული პირობები აიძულებს არ დაივიწყოს ეს.

მინდა ბოდიში მოვიხადო იმის გამო, რომ აღნიშნულ სტატიაში ხაზგასმით აღვნიშნავდი სიტყვა "ინვალიდს", მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნის პარლამენტის დადგენილებით "ინვალიდის" ნაცვლად "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი" ჰქვია. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ უფრო უკეთესი იქნებოდა, სახელის შეცვლასთან ერთად, დამოკიდებულებაც შეცვლილიყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მიმართ.

**თვალსაზრისი**

# სამკურნალო პედაგოგიკის როლი ჯანმართვის სანოგენეზურ რგოლში

**იგორ დოლიძე**

რეაბილიტოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, ჟურნალ „იმედი +“-ს ექსპერტი.

სამედიცინო ვალეოლოგიის (სანოლოგიის), როგორც მთლიანად ზოგადი ვალეოლოგიის (მეცნიე რებათა ინტეგრაცია ჯანმრთელობის შესახებ), თეორიულ-პრაქტიკული იდეოლოგიის მოწოდებაა დი ნამიკურად განავითაროს ჯანმართვის ორგანიზაციული სისტემა, აამაღლოს მისი როლი, გაზარდოს მოსახლეობის ინდივიდუალური ჯანმრთელობის შენარჩუნების ეფექტურობა. ყოველივე ამან უნდა დააჩქაროს მედიცინის პათოცენტრისტული პრინციპების რღვევის პროცესები და სახელმწიფოს მიერ ჯანსაღი თაობის აღზრდაზე ზრუნვა. ეს, თავის მხრივ, განაპირობებს ჯანმრთელი ორგანიზმის ოპ ტიმალური შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას, მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის კა ნონზომიერი დაცვის დამკვიდრებას.ყოველივე ამან ხელი უნდა შეუწყოს ჯანმრთელი ადამიანის ფსი ქო-ფიზიკური მოდელის ჩამოყალიბებას, რომლის გეგმაზომიერი გადასინჯვა ყოველწლიურად უნდა ხდებოდეს, რადგან გარემოს, ტექნოცივილიზაციისა და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით პროგრესუ ლად ირღვევა ადამიანის ორგანიზმის hომეოსტაზი. ჯანმრთელობის ნორმის დადგენას კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დიფერენცირებულ დიაგნოსტიკაში, რადგან ფსიქოფიზიკური ნორმის პარამე ტრებიდან უნდა ხდებოდეს პათოლოგიური გადახრების ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი კლინი კურ-ინსტრუმენტული მაჩვენებლების ათვლა, რაც ობიექტურად განაპირობებს სწორ დიაგნოსტიკასა და ეფექტურ მკურნალობას.

მრავალ ქვეყანას აქვს სანოლოგიის-ამ საექიმო დისციპლინის-პრაქტიკული გამოყენების 15-წლიანი სტაჟი და ამ ტერმინის დამკვიდრების 40 წლიანი გამოცდილება. სამწუხაროდ, ქართველი ექიმების უმეტესობას „სანოლოგიის“ შესახებ არაფერი სმენია. სწორედ მათ უნდა შევახსენო: სანოლოგ-სპეციალისტების გარეშე არ იქნებოდა არც ავიაცია,არც კოსმონავტიკა,წყალქვეშა ფლოტი, სპეცსა მსახურები,არც დიდი სპორტი და სხვა მრავალი დარგობრივი მიმართულება. სანოლოგიას, როგორც საგანს, არ ასწავლიან სამედიცინო უმაღლეს სასწავლებლებში და ნაკლებად ითვალისწინებენ ამ დისციპლინის მნიშვნელობას მედიცინის ყველაზე სახელგანთქმული ექიმებიც კი. უნდა გავიაზროთ, რომ სანოლოგი არის სპეციალისტი, რომელიც დგას ჯანმრთელი ადამიანის hომეოსტაზის შენარჩუ ნების სადარაჯოზე და კარგად ერკვევა ორგანიზმის დაცვით-კომპენსატორული მექანიზმების ამოქ მედების სპეციფიკურობაზე; პათოლოგიური გადახრების შემთხვევაში კი_დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის რეაბილიტაციურ ღონისძიებათა დიფერენცირებულ შერჩევაში. ადამიანის ასაკის მიუხედა ვად, ჯანმრთელობის შენარჩუნებაში დიდი როლი ეკისრება პედაგოგებს,რომელთა სანოლოგიურმა განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ჯანმრთელობის განმტკიცებასა და დაავადებათა პროფილაქტი კას. ეს მოთხოვნა აუცილებლად უნდა შესრულდეს, რადგან მსოფლიოს მოსახლეობაში მკვეთრად იზრდება იშვიათი და უცნაური დაავადებების რიცხვი, მათ შორის _ ქრონიკული პათოლოგიები, ინ ვალიდობა და სიკვდილიანობა.

თანამედროვე ჯანმართვის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საჭიროა ჯანმრთელი ადამიანის სოცია ლურ-საზოგადოებრივი ყოფის მიზანდასახული გამოკვლევა. ადამიანის ჯანმრთელობა უნდა გახდეს სამედიცინო შესწავლის უპირველესი ობიექტი და ექიმებმა, „დაავადების ისტორიის“ გარდა, უნდა შეადგინონ მეცნიერულად დასაბუთებული ადამიანის „ჯანმრთელობის ისტორია“, რაც იძლევა იმის საშუალებას,რათა ცვალებად გარემო პირობებში დადგინდეს ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმის ოპ ტიმალური ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობები. ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმის წონასწორობი დან გამოყვანა ძალზე ძნელია.მას საკმარისად აქვს დაცვით-კომპენსატორული მექანიზმების რეზერ ვები, თანაც ეს უკანასკნელი უსაზღვრო არ არის, რადგან ადრე თუ გვიან ის შეიძლება ამოიწუროს და გამოვლინდეს დაავადებისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები, რაც მოითხოვს გადაუ დებელ მიზანდასახულ კორექცია-რეაბილიტაციას. აქედან გამომდინარე, ექიმმა უნდა იცოდეს ჯანმ რთელი ადამიანის ორგანიზმის ცხოველმოქმედების ძირითადი მექანიზმების ამოქმედების თავისებუ რებები, მისი შეთავსება კლინიკურ გამოცდილებასა და შესაბამის სანოლოგიურ კვლევით უნარ-ჩვე ვებთან, რაც მას სტუდენტობიდან უნდა ჰქონდეს ათვისებული. სანოგენეზური ცოდნის უკმარობა, სამწუხაროდ, ექიმთა პროფესიული მომზადების სერიოზულ ხარვეზად უნდა ჩაითვალოს.

ადამიანის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად არსებობს ორი სტრატეგიული მიდგომა: პირველია მკურნალობა (რაც დღეს პრიორიტეტულია) და მე-

გაგრძელება →

ორეა საღი ჯანმრთელობის შენარჩუნება _ დაცვა (რასაც ნაკლები ყურადღება ეთმობა). თუ სახელმწიფოებრივი სტრუქტურები (იგულისხმება განათ ლების, ჯანდაცვისა და სპორტის სისტემები) თავიანთი ორგანიზაციული ფუნქციების შესასრულებ ლად იხელმძღვანელებენ მხოლოდ პირველი სტრატეგიით, მაშინ მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცება და ხანგრძლივი შრომისუნარიანი სიცოცხლე მიუღწეველ ოცნებად დარჩება. აქედან გამომ დინარე, ქვეყანაში უნდა დამკვიდრდეს ჯანსაღი ცხოვრების წესი, შეიქმნეს მიზანმიმართული სამკუ რნალო-სარეაბილიტაციო და გამაჯანსაღებელი ცენტრების ფართო ქსელი, ამაღლდეს ვალეოლოგი ური ცოდნის იურიდიული უფლებამოსილება ჯანდაცვის, განათლების და სპორტის სახელმწიფოებ რივ სტრუქტურებში. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისას უნდა გვახსოვდეს: ორგანიზმში ჯან მრთელობის რეზერვები ამოუწურავი როდია. ის ადამიანთა უმეტესობას ბავშვობაში არასაკმარისად აქვს მობილიზებული, „თვლემს“ მომწიფების ასაკში, ხოლო ყოველივე ამის გამო ადვილად ქრება სიბერეში.

ჯანმრთელი და ავადმყოფი ადამიანის (ბავშვი იქნება თუ მოზრდილი) ჯანმრთელობის შენარჩუ ნებასა და აღდგენაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭ-ება პედაგოგიური დიაგნოსტიკისა და რეაბილიტა ციის მეთოდების ჩართვას, განსაკუთრებით მნიშ-ვნელოვანია ეს ბავშვებში. პედაგოგიური რეაბილი ტაცია ძირითადად ეყრდნობა სამკურნალო პედა-გოგიკის თეორიულ-პრაქტიკულ მიღწევებს, რომლე ბიც ხელს უწყობს ჯანმრთელობის შესანარჩუნებ-ლად სასურველი თერაპიული შედეგის მიღებას.

პედაგოგიურ რეაბილიტაციაში დღემდე არ არსებობს პედაგოგის პრაქტიკული დახელოვნების სქემები, რაც, კლინიკური სიტუაციიდან გამომდი-ნარე, ახლებურად და შემოქმედებითად განიხილა ვს პედაგოგის როლს ავადმყოფის გაჯანსაღებაში. ამასთან ერთად, სამკურნალო პედაგოგიკა მოით ხოვს ბავშვის ზოგადი ანთროპოლოგიის ცოდნას, რაკიღა ჩვილის გაჩენიდანვე იწყება დაავადებათა წარმოშობა, ფსიქიკური ანომალიები, ფიზიკური ნაკლოვანებები და hომეოსტაზიდან მრავალი ფუნქ ციურ-ორგანული გადახრა. ეს კი მოითხოვს პედა-გოგის ზოგად ანთროპოლოგიურ განათლებას. მა-გა ლითად, ბავშვთა ფსიქიატრიაში შეისწავლება მოზარდის ფსიქოფიზიკური გადახრები, „გონებ-რივი ჩამორჩენის“ კლინიკა. ბავშვის სულიერ ნაკ-ლოვანებასთან ერთად არცთუ ისე იშვიათად აღინ-იშნება პედაგოგიური რეაბილიტაციის გარკვეული ხარვეზებიც. ეს უკანასკნელი გარკვეულწილად აფერხებს ეფექტური მკურნალობის პროცესს.სამ-კურნალო პედაგოგიკაში საქმე ეხება არა მარტო მოზარდის გონებრივ-ფიზიკური გადახრების კლი-ნიკურ შეფასებას, არამედ ბავშვის ზოგადი ანთრო-პოლოგიის ღრმა ცოდნის საფუძველზე იმის მაქსი-მალურ წვდომას, რომ არსებული ფსიქოფიზიკური გადახრე ბის მექანიზმები იოლად დავადგინოთ. პედაგოგი უნდა ერკვეოდეს, თუ როგორ სვამს დი-აგნოზს ექიმი და ფსიქოლოგი, როგორ ვლინდება თეორიულ-პრაქტიკული ხასიათის განსხვავებები სამედი ცინო, ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ დი-აგნოსტირებათა შორის. ეს კი მოითხოვს სისტემუ-რი მიდ გომით მიზანდასახული ცოდნის დაგრო-ვებას, დიფერენცირებული ანალიზის ჩატარებას, პედაგოგიუ რი დიაგნოსტიკისა და რეაბილიტაცი-ის სრულყოფილი კონცეფციის შექმნას. იმასთან დაკავშირე ბით, რომ პედაგოგიკა არის მეცნიერ-ება ადამიანის აღზრდისა და განათლების შესახებ, ქრონიკუ ლად დაავადებული ავადმყოფები მიზან-მიმართულად საჭიროებენ პედაგოგიურ აღზრდას, რათა სწო რად შეაფასონ თავიანთი დამოკიდებუ-ლება შეძენილი დაავადებისა და დაკარგული შრო-მისუნარია ნობის აღდგენის მიმართ, გონივრულად შეეგუონ ახლად შექმნილ ყოფით სიტუაციას,საავ-ადმყოფოს პირობებში ხანგრძლივ წოლით რეჟიმს და ა.შ. მაგალითად, პედაგოგიური დახმარება ეს-აჭიროება არა მარტო იმ ავადმყოფს, რომელმაც ამპუტაციის შედეგად ხელი ან ფეხი დაკარგა, არ-ამედ იმ ორ სულ ქალებსაც, რომლებსაც მშობიარ-ობისათვის ამზადებენ და ასწავლიან მშობიარობის პროცეს ში სწორად მოქცევას, ტკივილების წარმო-შობისას გაუტკივარების მიღწევის ხერხებს და ა.შ.

სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებუ-ლებებში ექიმი და საშუალო მედპერსონალი ავად-მყოფე ბთან ურთიერთობისას (ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული გამოკვლევები, სამკურნალო პროცედურე ბი და ა.შ.) ყოველდღიურად წყვეტენ მედიკო-ბიოლოგიური ხასიათის ამოცანებს. ავ-ადმყოფზე პედა გოგიური ზემოქმედების მნიშ-ვნელოვანი ნაწილი კი მოდის ფსიქოთერაპიაზე (ფსიქიკური მეთოდებით მკურნალობა) და მისი სწორი გამოყენება ამაღლებს დაავადებათა აღ-მოფხვრის ეფექტურობას. ამ უკანასკნელის ზე-მოქმედების ხარისხი იმდენად იზრდება,რამდენა-დაც ავადმყოფი გონებრივად არის განვითარებუ-ლი და თვითაღზრდის განსაკუთრებული თვისე-ბები მოსდგამს. პედაგოგიურ რეაბილი ტაციაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს დოზირებული სამკურნალო ტანვარჯიში,რომელსაც ფსი ქო-ემ-ოციური და აღმზრდლობითი მნიშვნელობა აქვს. პედაგოგიური რეაბილიტაცია კინეზოთერაპი ულ პროცედურებთან ერთად ნაწილობრივ ან სრულად აღუდგენს ავადმყოფს დაკარგულ მოძრაო ბას ან გამოუმუშავებს სრულიად ახალ მოძრაობათა ჩვე-ვებს, იგი შეიძენს ცხოვრებისათვის ისეთ აუ ცი-ლებელ ფიზიკურ თვისებებს,როგორიცაა ძალა, სისწრაფე, გამძლეობა და კოორდინაცია. ფიზიკუ რი ვარჯიშების დროს ავადმყოფი აითვისებს გამ-ბედაობის, გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნ არ-ჩვევებს და ა.შ. გამომდინარე აქედან, კინე-ზოთერაპიულ მეთოდოლოგიურ მიდგომას აქვს სამკურ ნალო-აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ამ დროს მკურნალი ექიმი და პედაგოგი ერთობლივად ახორ ციელებენ ავადმყოფის ფსიქოლოგიურ მომ-ზადებას და უნერგავენ მას გაჯანსაღების რწმენას

ავადმყოფის ზოგად რეაბილიტაციაში მო-ნაწილეობას იღებს სხვადასხვა დარგის სპეციალ-ისტები. ასე, მაგალითად, მკურნალი ექიმი ადგენს კლინიკურ დიაგნოზს, ფსიქოლოგი-მოზარდის ინ-ტელექტს, პედაგოგი-სასწავლო პროგრამის ათ-ვისების ხარისხს, სოციოლოგი-ბავშვზე ოჯახური გარემოს ზემო ქმედებას.ყოველივე ეს საბოლო-

გაგრძელება →

ოდ იძლევა შეჯერებულ ერთობლივ ინფორმაციას სრულყოფილი პე დაგოგიური დიაგნოზის დასასმელად, თუმცა ამას გადამწყვეტი იურიდიული ძალა არ მოეპოვება. ამასთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სადღეისოდ პედაგოგიკა, ისე როგორც ფსიქოლოგია, როდი წარმოადგენს დასრულებულ სამეცნიერო დარგს.არც მედიცინაა საბოლოო სახით წარმოდგე ნილი. მიუხედავად მათი არასრულყოფილებისა, დაავადების შემთხვევაში ავადმყოფს ვგზავნით ექი მთან და არა პედაგოგთან ან ფსიქოლოგთან. ამას ჩვენ შეგნებულად ვაკეთებთ და უმჯობესად მივიჩნევთ, ვიხელმძღვანელოთ პრაქტიკული გამოცდილებითა და ჯერ კიდევ დაუსრულე ბელ მეცნი ერებათა დებულებებით, ვიდრე პირადი,არასრულყოფილი ცოდნითა და დაკვირვებებით. სხვადასხვა პროფესიულ მიმართულებაში სანოლოგიური კვლევის ინტეგრაცია საშუალებას მოგვცემს, სიღრმი სეულად განვავითაროთ პედაგოგიური აზროვნება ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებაში.

ამრიგად, სამკურნალო პედაგოგიკა (დიაგნოსტიკა და რეაბილიტაცია) სანოგენეზურ რგოლში ძი რითადად დაფუძნებულია ფსიქოთერაპიულ ზემოქმედებაზე, რომელიც გულისხმობს ადამიანის პირო ვნული ქცევის ყველა ელემენტის (ინტელექტუალური, ფიზიკური, შრომითი, სოციალური) გააქტიუ რებას ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის ფონზე. ეს კი ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ჯანმ რთელობის განმტკიცების წინაპირობაა. ის სისტემური მიდგომით ადგენს ჯანმრთელობაზე მოქმედი რისკ-ფაქტორების თავიდან აცილების გზებს.

ულიანა კრილოვა

## ახლადდამადემული მაკშვის წერილი მშობლებს

გამარჯობა დედა და მამა! აი მეც აქ ვარ, თქვენი სიცოცხლის გაგრძელება, თქვენი სიყვარულის ნაყოფი. თქვენი ბედნიერება. ჩვენ უკვე ერთი ოჯახი ვართ! მაგრამ გახსოვდეთ, რომ მე მაინც ცალკე ვარ თქვენგან. განუმეორებელი არსება! ისიც იცოდეთ, რომ მე მაქვს ჩემი პირადი, მხოლოდ ჩემთვის დამახასიატებელი თვისებები. მოიძიეთ დრო და ძალა და გაიგეთ, ვინ ვარ მე, რით განვსხვავდები თქვენგან და რა გაგვაჩნია საერთო. პატივი ეცით ჩემს ინდივიდუალობას, ჩემს განსხვავებულობას. მოექეცით მას ფრთხილად და მე მეყვარებით თქვენ უფრო ძლიერად.

მოკრძალებით გთხოვთ მომეცით ის აუცილებელი, რაც საჭიროა ჩემი სიცოცხლისათვის. მაჭამეთ, როდესაც მშიერი ვიქნები, გამათბეთ, როცა შემცივდება, მელაპარაკეთ და მეთამაშეთ. მე ხომ ძალიან მჭირდებით თქვენ! თქვენ ჩემთვის მთელ სამყაროს წარმოადგენთ. დედის მუცელში მე უსაფრთხოდ ვგრძნობდი თავს, ჩემთვის უცნობი იყო შიმშილი, მე არ ვიცოდი დროის დათვლა და არ ვიყავი მარტო, დედასთან ერთად დავდიოდი ყველგან და მისი გულისცემას ვუსმენდი. მომეხმარეთ ახალ სამყაროსთან შეგუებაში, ახალ პირობებთან ადაპტირებაში.

გთხოვთ ნუ განაწყენდებით ძალიან, თუ კი ვერ გავამართლებ თქვენს ყველა მოლოდინს. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ ცხოვრება იშვიათად ხელმძღვანელობს ჩვენი მასზე წარმოდგენებით და არ უსაყვედუროთ, არ დაადანაშაულოთ თქვენი თავი, თითქოს თქვენ ცუდი მშობლები ხართ, რომ თქვენ გინდოდათ უფრო მეტის გაკეთება. თქვენ შესანიშნავი და ყველაზე საუკეთესო მშობლები ხართ და მიუხედავად ყველაფრისა, მე ძალიან მეყვარებით. გახსოვდეთ ეს.

მოდით ერთმანეთს გაგებით მოვეკიდოთ. მივცეთ ერთმანეთს დრო. მე, იმისათვის რომ გავიზარდო, ხოლო თქვენ მოერგოთ და გაითავისოთ თქვენთვის სრულიად ახალ როლს მშობლისას,., და აი, ნახავთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება!

გევედრებით, მაპატიეთ და არ გაბრაზდეთ, თუ კუ ბევრჯერ და ხშირად ვიტირებ. მე ძალიან მჭირდება თქვენი მოთმინება! მოიცადეთ ცოტა კიდევ და თქვენ ნახავთ, რომ ყოველდღიურად უფრო გავიზრდები, გონიერი გავხდები და დავუკლებ ტირილს. მაშინ კი ჩვენ ერთად ვიცინებთ და ვიმხიარულებთ.

ჩემთვის აუცილებელია თქვენი ყურადღება. ეს ის საზრდოა, რომლითაც მე ყოველდღიურად, ყოველ წუთიერად ვიკვებები. გამოიცანით რა მახარებს და რა არ მომწონს. მე არ მოვსულვარ იმისათვის, რომ თქვენი ცხოვრება გავამწარო. ჯერჯერობით არ შემიძლია სიტყვებით აგიხსნათ ის, რაც მინდა და მაწუხებს. ამიტომ, ყოველივე ამას ტირილით გამოვხატავ. უბრალოდ,ყურადღება მომაქციეთ და თქვენ თავად მიხვდებით ყვეკლაფერს.

დააკვირდით თქვენს თავს და თქვენს ჯანმრთელობას, კვებას, ხასიათს და განწყობილებას. მე ძალიან მინდა რომ თქვენ იყოთ ბედნიერი და კეთილდრეობით გახარებული. მაშინ მეც ასეთივე ვიქნები. ძალიან გთხოვთ, ჩემს მოვლაში გატაცებულთ, არ დაგავიწყდეთ ერთმანეთი.: თქვენ მე მჭირდებით, როგორც ერთიანი ოჯახი. მიუძრვენით ერთმანეთს სიყვარულუი და მზრუნველობა. მასწავლეთ ხელოვნებათა შორის ყველაზე საჭირო და მნიშვნელოვანი ხელოვნება - სიყვარულის ხელოვნება და მკვებეთ დადებითი ემოციებით. გახსოვდეთ, რომ მე შემიძლია თქვენი შეცდომების გაძლება, რომლებსაც თქვენ აუცილებლად დაუშვებთ. სანამ თქვენ მე გიყვარვართ, ვერავინ ვერ შესძლებს ხელი შეუშალოს ჩვენს ბედნიერებას.

თამარ მახარაშვილი

# ინკლუზიური ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ინკლუზიური ტურიზმი - ადაპტირებული გარემო ყველასათვის

დღეს, როდესაც ტურიზმი, საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროდ არის აღიარებული და ამასთანავე მიმდინარე წელი გამოცხადებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის წლად, განსაკურებით მნიშვნელოვანია საფუძველი ჩაეყაროს ინკლუზიური ტურიზმის განვითარებას საქართველოში, სადაც ტურისტული მომსახურებით ისარგებლებს არა მხოლოდ საქართველოში მცხოვრები, 250 000 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, არამედ საზოგადოების მრავალი სხვა წევრი.

ინკლუზიური ტურიზმი, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სტატისტიკურად მზარდ და ეკონომიკურად მაღალეფექტურ სფეროს წარმოადგენს. დღეს, ინკლუზიური ტურიზმის მომხმარებელთა სამიზნე ჯგუფს არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, არამედ მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტიც წარმოადგენს, კერძოდ: ასაკოვანი ადამიანები, მცირეწლოვანი ბავშვების თანხლებით მოგზაური ოჯახები. შეიძლება ითქვას, რომ მათი მოთხოვნები გარემოს მისაწვდომობასთან დაკავშირებით პრაქტიკულად იდენტურია. ინკლუზიური ტურიზმი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და დამოუკიდებელი ცხოვრების ფილოსოფიის ერთ- ერთი შემადგენელი ნაწილია. ყველა ადამიანს, მიუხედავად ფიზიკური ან სხვა სახის შეზღუდვისა, უნდა ჰქონდეს თავისუფალი გადაადგილებისა და ტურისტული მომსახურებით სარგებლობის თანაბარი უფლება. ამ უფლებას ხაზგასმით აღიარებს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, 2006 წლის 13 დეკემბერს მიღებული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, რომელსაც ხელი მოაწერა 140 ქვეყანამ, მათშორის საქართველომ.

## სტატისტიკა და ეკონომიკური მაჩვენებლები

არსებობს მცდარი მოსაზრება იმისთან დაკავშირებით, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მოსახლეობის სხვა ჯგუფებთან შედარებით ცოტას მოგზაურობენ. თუმცა, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ტურისტული ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი ინკლუზიურ ტურიზმს უკავია. მაგალითად: ერთ-ერთი კვლევის თანახმად, აშშ-ში შეზღუდული შესაძლებლობისა და დაქვეითებული მობილობის მქონე ადამიანები, წლიურად საშუალოდ 13.6 მილიარდ დოლარს ხარჯავენ ტურიზმში. ავსტრალიაში, ეროვნულ დონეზე ჩატარებული ვიზიტორთა კვლევით, გამოვლინდა, რომ ინკლუზიური ტურიზმი საერთო ტურისტული ბაზრის 11 %-ს შეადგენს.

რა აუცილებელი პირობებს უნდა ითვალისწინებდეს "ადაპტირებული გარემო"?

ინკლუზიური ტურიზმის განვითარების აუცილებელ პირობას უნივერსალური დიზაინის სტანდარტების შესაბამისი "ადაპტირებული გარემო" წარმოადგენს.

უნივერსალური დიზაინი – ეს არის სოციალური ინტეგრაცია საზოგადოების თითოეული ჯგუფისადმი, რომელიც გათვლილია თითოეული ინდივიდის საჭიროებაზე.

უნივერსალური დიზაინი –უზრუნველყოფს დიზაინის სამართლიან გამოყენებას,რომელიც ბარიერს არ უქმნის მომხმარებელთა არც ერთ ჯგუფს და არ ახდენს მათ სტიგმატიზაციას.

რა იგულისხმება ამ ტერმინში და რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ ტურისტული სააგენტოები, სამსახურები და მომსახურების სფეროს სერვისები, ინკლუზიური ტურიზმის მომხმარებელთა (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ასაკოვანი ადამიანები, მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად მოგზაური ოჯახები) ეფექტური მომსახურებისათვის:

**ტურისტული სააგენტოები:**

- მაქსიმალურად უნდა ფლობდნენ ინფორმაციას ინკლუზიური ტურიზმის მომხმარებელთა შეუფერხებელი გადაადგილებისა და მათი საჭიროებების შესაბამისი სერვისების არსებობის შესახებ;
- მომხმარებლებს აწვდიდნენ სრულ და ზუსტ ინფორმაციას ქვეყანაში არსებული ტურისტული გარემოსა და კონკრეტული მომხმარებლის საჭიროებაზე მორგებული ტურისტული ობიექტებისა და სერვისების შესახებ.

**სასტუმროები:**

- უნდა უზრუნველყოფდნენ გარე და შიდა პერიმეტრებზე (პანდუსებს, ლიფტს, დამხმარე პერსონალს, წარწერებს ბრაილის შრიფტით, ა.შ) ინკლუზიური ტურიზმის მომხმარებელთა შეუფერხებელ გადაადგილებას (მათ შორის:

ოთახების, სველი წერტილების, მიმღების, სასტუმროს დერეფნის, დასასვენებელი დარბაზების, საცურაო აუზის, სპორტული დარბაზის, საპარკინგე ადგილის, შენობაში განთავსებული ლიფტების თავისუფალ და დაუბრკოლებელ გამოყენების საშუალებას).

სასტუმროებში არსებული შიდა და გარე საცურაო აუზები უნდა უზრუნველყოფდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მომხმარებელთა უსაფრთხო და კომფორტულ ხელმისაწვდომობას სპეციალური დამხმარე აღჭურვილობების გამოყენებით;

- სატრანსპორტო მომსახურებას, მათი სპეციალური საჭიროების გათვალისწინებით.

**ტრანსპორტი**

- საჰაერო, სარკინიგზო და შიდა საქალაქო ტრანსპორტის სამსახურები უნდა უზრუნველყოფდნენ ინკლუზიური ტურიზმის მომხმარებელთა უსაფრთხო გადაადგილებას.

**ურთიერთობის ეთიკა**

ტერმინები, რომლებსაც საუბარში ვიყენებთ, გამოხატავენ არა მარტო ჩვენს დამოკიდებულებას ადამიანებისა და მოვლენების მიმართ, არამედ ნათლად ასახავენ საზოგადოებაში გავრცელებულ სტერეოტიპებსაც.

აღიარებულია, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი, რომლის გადალახვაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უწევთ, არის საზოგადოების დამოკიდებულება.

**უნივერსალური დიზაინი - ინკლუზიური ტურიზმის სახელმძღვანელო**

არასამთავრობო ორგანიზაციამ „პარსა„ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მხარდაჭერითა და ამერიკელი პარტნიორების დახმარებით შეიმუშავა უნივერსალური დიზაინის სტანდარტების შესაბამისი ადაპტირებული გარემოს სახელმძღვანელ სახელმძღვანელოში მისაწვდომობა განხილულია სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირებთან მიმართებაში, მათ შორის:

- ✓ ფიზიკური შეზღუდვის მქონე (მობილობის დამხმარე აღჭურვილობის მომხმარებლები)
- ✓ მხედველობის შეზღუდვები (უსინათლო და მხედველობის დაქვეითების მქონე )
- ✓ სმენის შეზღუდვები (ყრუ და სმენის დაქვეითების მქონე)

**სახელმძღვანელო მოიცავს შემდეგ საკითხებს:**

- უნივერსალური დიზაინი - შესავალი ნაწილი
- უნივერსალური დიზაინის ისტორიული მიმოხილვა
- უნივერსალური დიზაინის პრინციპები
- უნივერსალური დიზაინის სარგებლობა და მისი გამოყენება ინკლუზიურ ტურიზმში
- ინკლუზიური ტურიზმის ხარჯ ეფექტურობა
- სამიზნე ჯგუფები, რომელთათვისაც სარგებლობა მოაქვს უნივერსალურ დიზაინსა და ინკლუზიურ ტურიზმს.
- გარემოს მოწყობის საკითხები - სასტუმროები, რესტორნები, კაფეები, სანაპიროები. ა.შ.
- საზოგადოებრივი ტრანსპორტი
- პირადი ტრანსპორტირება/პარკინგი
- გარე სივრცის მისაწვდომობა და ბილიკები
- შესასვლელები
- მრავალსართულიანი შენობების მისაწვდომობა
- საპირფარეშო/ოთახები
- განთავსება (სასტუმრო მომსახურება)
- ნიშნები/ინფორმაცია
- დენის წყარო ელექტრო ჩამრთველები /ამომრთველები

- იატაკი
- საკვები/სასმელი
- გართობა
- საკანონმდებლო ბაზა (საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია).

აღნიშნული სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ვებ გვერდზე: www.parsa.ge არასამთავრობო ორგანიზაცია „პარსა„ მადლობას უხდის მხარდაჭერისათვის საერთაშორისო დონორებს: ევროკავშირს, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდს, ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს„ და საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას.

რევაზ ტატალაშვილი

# ᲧᲘᲜᲣᲚᲛᲐ ᲓᲜᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ადამიანი სამყაროს მთავარი მამოძრავებელი ძალაა, - ბრძანებენ მატერიალისტები. თუმცა, თეისტების და არა მარტო მათი მოსაზრებით, ყოველივე ღვთის ნებით ხდება. მართალია, ამ მოსაზრებას მეც ვეთანხმები, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ მატერიალიტების ზემოხსენებულ თეზაში ჭეშმარიტების მცირეოდენი მარცვლები მაინც შეინიშნება. კრეატიულობის თვალსაზრისით, ადამიანი სჯაბნის და სჯობნის სამყაროს ბიოლოგიური სპექტრის დანარჩენ ნაწილს და თავისი აქტიური ქმედებებით ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს მის განვითარებაზე. სწორედ ადამიანის აქტიურობით მიიღწევა ის მუდმივად მზარდი ტექნიკური პროგრესი, რომელიც ათასეული წლების წინ დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს.

მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურმა ცივილიზაციამ საგრძნობლად დაარღვია ღვთისა თუ ბუნების თვითნაბადი ბალანსი, მას თანამედროვე კაცობრიობისათვის თავისი სერიოზული პლუსები უდავოდ გააჩნია. დღეს რიგითი ადამიანებისათვის ადვილი შესაძლებელია კომუნიკაციების დამყარება და ინფორმაციული წვდომა ჩვენი პლანეტის ნებისმიერ წერტილში.

ამის დასადასტურებლად ჩვენი პროექტის - „შშმ პირები ადამიანის უფლებათა დაცვის პროცესში" მიმდინარეობაც გამოდგებოდა. თუნდაც ის რად ღირს, რომ ეს პროექტი ევროკავშირის ეგიდით ხორციელდება და მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარტნიორი პოლონეთის უსინათლოთა ასოციაციაა. უდავოა, რომ სმგავსი კომუნიკაციები წინა საუკუნეებში,პრაქტიკულად,შეუძლებელი იქნებოდა. სწორედ ამ ურთიერთობების წყალობით გახდა შესაძლებელი ჩვენთვის,ქართველი შშმ პირებისათვის (მათ შორის- უსინათლოები სათვის),საკუთარი და,ზოგადად,ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით აქტიური ქმედებების განხორციელება. ყოველივე ამას მნიშვნელოვანი რეზონანსი მოჰყვა, რის თაობაზეც ქვემოთ უფრო ვრცლად გვექნება საუბარი.

თუკი ადრე შშმ პირები არა მხოლოდ საზოგადოებრიობისა და ხელისულებების თვალში,არამედ უახლოეს სამეზობლო სანათესაოშიც კი ოდენ შესაბრალის,უუნარო და სხვის კმაყოფაზე მყოფ ადამიანებად აღიქმებოდნენ,დღეისათვის მსგავსი სტიგმები (სტერეოტიპები) უკვე მნიშვნელოვნადაა დარღვეული მოაზროვნე ადამიანთა მენტალობაში,თუმცა ისინი ბოლომდე ჯერ კიდევ არ გამქრალა.

ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ, ჩვენი პროექტის ეგიდით საქართველოს ოთხ ქალაქში გამართული ის მშვიდობიანი აქციებიც იკმარებდა,რომელთა შესახებ ჟურნალ „სინათლის" 64 დამატებაში დაწვრილებით ვაუწყებდით მკითხველს. ანალოგიური აქცია (რიგით მეხუთე) ამა წლის 8 აგვისტოს ქალაქ რუსთავში ჩატარდა. მასში 80-მდე უსინათლომ მიიღო მონაწილეობა,ხოლო აქციაზე მისულთა საერთო რაოდენობა 150 კაცს აჭარბებდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უსინათლოთა წინაშე მდგარი პრობლემებითა და მათი მოგვარების აუცილებლობით მრავალი სხვა მოქალაქეც დაინტერესდა. ამ აქციის მოწყობის თაობაზე წინასწარ იყო ინფორმირებული ქალაქის ხელმძღვანელობა. ამ ღონისძიებას დაესწრო და სიტყვითაც გამოვიდა რუსთავის მერი,ბატონი დავით ჯიქია. ერთი საათის განმავლობაში აქციის მონაწილეებს ესაუბრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. ბატონმა დავითმა ყოველგვარი დახმარება აღუთქვა უსინათლოებს,მომავალი წლიდან ქალაქის ბიუჯეტში მათთვის ასიგნებების მნიშვნელოვნად გაზრდის პირობა დადო და,პრობლემების უკეთ გაცნობის მიზნით, სუ კავშირის რუსთავის ფილიალის თავმჯდომარეს,ქალბატონ ნუნუ მუმლაძეს აუდიენციაც დაუნიშნა. ამგვარი ყურადღება ქალაქის ხელისუფალთა მხრიდან მხოლოდ მადლიერებას იმსახურერბს. აფერუმ,ბატონო მერო!

ზემოთ ვთქვი: საზოგადოების ერთ ნაწილში ჩვენს მიმართ დამკვიდრებული ძველი სტერეოტიპური წარმოდგენები ბოლომდეჯერ კიდევ არ გამქრალა-მეთქი. ამის ნათელ მაგალითად გამოდგება ტერმინის - შშმ პირის გაუმართლებელი ინტერპრეტაცია - „უნარშეზღუდული". ვინ იცის,რამდენჯერ დაგვწყვეტია გული მსგავსი გამოთქმის მოსმენისას? მით უმეტეს, რომ ამგვარი ინტერპრეტაცია არა მხოლოდ რიგითი მოქალაქეებისაგან, არამედ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მუშაკებისა და სხვა თანამდებობის პირებისგანაც ხშირად გაგვიგონია. არადა, უნარშეზღუდულები, რომელთაც სახელმწიფოსა და,ზოგადად, საზოგადოების მხრიდან უდიდესი ზრუნვა და ყურადღება სჭირდებათ, ხომ შშმ პირთა ძალზე მცირე ნაწილს წარმოადგენენ? მათ უდიდეს ნაწილში ნამდვილად არის დავანებული საკმაოდ სოლიდური კრეატივი და სხვადასხვა საინტერესო უნარები,რომელთა ჩართვაც თავისუფლად შეიძლება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

ამისათვის საჭიროა, შშმ პირებმა და მათმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო გააძლიერონ კომუნიკაციები ერთმანეთს შორის და,აგრეთვე, დანარჩენ საზოგადოებასთან,სხვადასხვა სახის პროექტებსა და ღონისძიებებში ერთობლივი მონაწილეობის გზით,კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობები უნდა დაამყარონ ცენტრალურ და ადგილობრივ სახელისუფლებო ორგანოებთან,რისი ნიშნებიც აშკარად თვალში საცემია. უნდა ითქვას,რომ ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლება ნამდვილად გრძნობს შშმ პირებთან დაკავშირებით საკანონმდებლო ნორმებისა და სამთავრობო ნორმატიული აქტების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობას.

ყოველივე ეს,როგორც საკანონმდებლო,ასევე

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ →

აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან საკმაოდ დიდ შრომასა და სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვს. საჭიროა მრავალი შესაბამისი ცვლილების განხორციელება სხვადასხვა კანონებსა და საკანონმდებლო აქტებში,რაც,თავის მხრივ,საბოლოოდ უნდა აისახოს კანონში- სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. ეს აუცილებელი,რთული და დროში გაწელვადი პროცესი წარმატებით ვერ დასრულდება, თუ არ იქნა გაზიარებული მოწინავე ქვეყნების სათანადო გამოცდილება, რომლებმაც ეს გზა უკვე გაიარეს. ამ საშვილიშვილო საქმის მართლზომიერად წარმართვისათვის კიდევ ერთ,საკრალურ აუცილებლობად მიმაჩნია ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებაში შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფის აქტიური და მჭიდრო ურთიერთობა შშმ პირთა იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელთათვისაც უნდა მომზადდეს ეს ცვლილებები.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, შშმ პირთა მომეტებული ნაწილი აზროვნების დეფიციტს არ უჩივის. და ვიდრე ჩვენივე კეთილდღეობისათვის განსახორციელებელი ცვლილებები მომავალში დასრულებული კანონების სახეს მიიღებენ,ჩვენი წარმომადგენლები უცილობლად უნდა მონაწილეობდნენ მათი მომზადების პროცესში. კიდევ უფრო უნდა დაიხვეწოს და სრულად ამოქმედდეს საქართველოს კანონი- „შშმ პირთა სოციალური დაცვის შესახებ". ამ კანონიდან გამომდინარე,უნდა მომზადდეს და გამოიცეს შესაბამისი ნორმატიული აქტები,რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს კანონის ზოგიერთი პუნქტის (თუნდაც მუხლი 21-22) ფინანსური უზრუნველყოფა.

ერთ-ერთი სახელმწიფო, რომელიც ამ კეთილშობილური მიზნების განხორციელებისათვის მხარში უდგას ჩვენს ხელისუფლებას, პოლონეთია. ამ ქვეყნის შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს მიერ მიმდინარე წლის 14-18 ოქტომბერს მოეწყო სპეციალური სემინარები და ტრენინგები. მისი მიზანი იყო საქართველოს ანალოგიური სტრუქტურის მუშაკებისათვის და, აგრეთვე, რამდენიმე ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისათვის, რომლებიც შშმ პირთა საკითხებზე მუშაობენ, პოლონეთსა და სხვა მოწინავე ქვეყნებში დაგროვებული გამოცდილების გაზიარება. იმ სამ არასამთავრობო შშმ პირთა ორგანიზაციებს შორის,რომელნიც მიიწვიეს პოლონელებმა, იყვნენ ჩვენი კავშირის წარმომადგენლებიც: თამაზ მუქერია და ზურაბ გოხაძე. მათი სამივლინებო ხარჯები მთლიანად მასპინძელთა მიერ იყო დაფინანსებული.

გარდა ლექცია-სემინარებში მონაწილეობისა, სტუმრებმა დაათვალიერეს ერთ-ერთი სოციალური საწარმო ქალაქ ლუბლინში, სადაც დასაქმებულთა ოთხმოცი პროცენტი შშმ პირია,რის გამოც ეს საწარმო, გარდა საკუთარი მოგებისა, სოციალურ საწარმოთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდიდან სოლიდურ დაფინანსებასაც იღებს. ეს ქალაქი, შშმ პირთა ფართო საზოგადოებასთან ინტეგრირების შესანიშნავ ნიმუშსაც წარმოადგენს, რამეთუ ლუბლინის მცხოვრებთა ოცი პროცენტი შშმ პირია. სათანადო სპეციალისტების მიერ სხვადასხვა კატეგორიის შშმ პირთათვის შერჩეულია მათთვის შესაფერისი სამუშაო პროცესები.

თვით პოლონეთის შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს აპარატში, ასევე, მთელ მის სისიტემაში შემავალ ორგანიზაციებში შშმ პირთა დასაქმების დონე ოცი პროცენტია. რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდში სტუმრობისას, ჩვენი წარმომადგენლები შეხვდნენ კომპიუტერთან მომუშავე უსინათლოს. ვისურვებდი, რომ მსაგავსი შემთხვევები აქაც გახშირდეს.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა კონფერენცია, რომელშიც პოლონელების გარდა მოწვეული იყვნენ მოწინავე ევროპული ქვეყნებიდან სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

ამ კონფერენციის მთავარი თემა იყო ქალაქისა და სხვა დასახლებული პუნქტების დაგეგმარება შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს გათვალისწინებით. აღინიშნა, რომ ამგვარი დაგეგმარება აუცილებლად უნდა მიესადაგებოდეს დღეისათვის აღიარებულ, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს. ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე მდგარი ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებისათვის მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობა უდავოდ დიდი სკოლაა. უცხოელმა სპეციალისტებმა კონფერენციის ქართველი მონაწილეებისაგან მოისმინეს ინფორმაცია ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების შესახებ,გაუწიეს საჭირო რეკომენდაციები და სამომავლოდ მნიშვნელოვანი დახმარებაც აღუთქვეს. მადლობა მათ!

ეს კონფერენცია კიდევ ერთ დამატებით სტიმულად იქცა ჩვენი ხელისუფლებისათვის იმ დეკლარირებული სამთავრობო გეგმის შესასრულებლად, რომელიც მიიღეს ამა წლის 18 სექტემბერს. ეს გეგმა მიზნად ისახავს საქართველოში შშმ პირთა მასობრივ და სავალდებულო დასაქმებას და გაწერილია 2014-2016 წლებზე. იმის გამო,რომ სხვადასხვა უწყებებს მოუწევთ დიდი და ძალზე მრავალმხრივი სამუშაოების ჩატარება, დეკლარირებული დოკუმენტი საკმაოდ ვრცელი გამოდგა. შევეცდები, მკითხველთათვის უფრო ფართოდ წარმოვაჩინო ამ გეგმის ძირითადი არსი და მისი მიმართულებები.

შშმ პირთა დასაქმებისათვის სახელმწიფოსტრატეგიული გეგმის შესამუშავებლად, მრავლისმომცველი კვლევების ჩატარების მიზნით, უნდა ჩამოყალიბდეს სპეციალური სამთავრობო მუშა ჯგუფი. სწორედ ამ ფართო მასშტაბიანი კვლევის შედეგების გათვალისწინებით, უნდა განხორციელდეს ის აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. სამთავრობო გეგმის მიხედვით, მკვლევართა ჯგუფის მუშაობა განისაზღვრება შემდეგი მიმართულებებით:

1. სახელმწიფოს მხრიდან გატარდეს მრავალმხრივი ღონისძიებები შშმ პირთა მიმართ გამოვლენილი დისკრიმინაციისა და სტიგმატიზაციის შემთხვევების მინიმუმამდე შემცირების მიზნით. სახელმწიფოს მეშვეობით მოხდეს შრომით ბაზართან და სამუშაო პირობებთან მიმართებაში

გაგრძელება →

შშმ პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა. ამ კუთხით და ცხოვრებისეულ სხვა სეგმენტებშიც სპეციალური ტრენინგებისა და მსგავსი ღონისძიებების გზით,უზრუნველყოფილი იქნას შშმ პირთა დისკრიმინაციის არდაშვება. მათი საჭიროებების გათვალისწინებით და მათთვის შესაფერისი გარემოს შექმნისათვის ისეთი ნორმებისა და სტანდარტების შემუშავება,რომლებიც უპასუხებენ საერთაშორისო თანამედროვე მოთხოვნებს. შემუშავდეს მასტიმულირებელ ღონისძიებათა გეგმა ამ გარემოს შემქმნელთათვის; ამაღლდეს მოსახლეობისა და თვით შშმ პირთა ინფორმირებულობა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში; შეიქმნას სპეციალური საზედამხედველო სამსახური შშმ პირთა ანტიდისკრიმინაციისა და ანტისტიგმატიზაციის საკითხებთან დაკავშირებით (თანასწორობის ინსპექტორი).

2. შშმ პირთა საყოველთაო და სავალდებულო დასაქმება: მათი დასაქმების უზრუნველსაყოფად შეიქმნას მყარი საკანონმდებლო ბაზა; მომავალი წლისთვის დასრულდეს შესაბამისი მონაცემთა ბაზის ფორმირება; ჩატარდეს ქვეყანაში მოქმედი ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის საფუძვლიანი კვლევა, შშმ პირთა შესაძლო დასაქმების მიზნით; ამავე კუთხით (შშმ პირთა დროებითი სამუშაოების გათვალისწინებითაც კი) როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ორგანიზაციებისათვის შემუშავდეს მიზნობრივი პროგრამები; დამსაქმებელთა წასახალისებლად,შემუშავდეს და დაკანონდეს სავალდებულო კვოტირების ან საგადასახადო შეღავათების სისტემა,ყველა სახის საწარმოსა და ორგანიზაციისათვის.

3. შრომით ბაზარზე შშმ პირთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, შემუშავდეს და ჩამოყალიბდეს მათი პროფორიენტაციის, კონსულტირებისა და პროფესიული სწავლების ერთიანი სისტემა; შემუშავდეს შესაბამისი ტრენინგების კურსი კონსულტანტებისათვის; შეიქმნას და ამოქმედდეს შშმ პირთა პროფესიული სწავლების ერთიანი სახელმწიფო პროგრამა.

4. ერთიანი სახელმწიფო გეგმის შემუშავება შშმ პირთა თვითდასაქმებისათვის ხელშეწყობის მიზნით. ინდმეწარმე შშმ პირებისათვის სპეციალური სასესხო ფონდების ჩამოყალიბება; მათთვისვე სპეციალური გრანტებისა და დაბალპროცენტიანი კრედიტების გაცემა; შშმ პირთა სათანადოდ ორიენტირება და კონსულტირება,მათი მცირე ბიზნესში სწორად ჩართვის მიზნით; იურიდიული დახმარების გაწევა და მეტ-ნაკლებად თანაბარი სასტარტო პირობებით მათი უზრუნველყოფა; სხვა სახის ტექნიკური ხელშეწყობა.

5. შშმ პირთა დასაქმებაში მაქსიმალური შედეგების მიღწევის მიზნით,სოციალური საწარმოს სტატუსის შემოღება და მათი ქსელის ჩამოყალიბება. ამისათვის როგორც საწარმო ორგანიზაციების,ისე თვით შშმ პირთა შესაძლებლობების სრულმასშტაბიანი კვლევების ჩატარება. უნდა შეგახსენოთ, რომ სოციალური საწარმო თავისი არსით ძალზე წააგავს საბჭოურ პერიოდში ჩვენთან მოქმედ სასწავლო-საწარმოო წამოწყებას.

6. შშმ პირთა შრომის უსაფრთხოების დაცვა: შესაბამისი სტანდარტებისა და ნორმების შემუშავება მათთვის შრომის ჯანსაღ გარემოს უზრუნველსაყოფად; შშმ პირთა ტექნიკური და სხვა სახის უსაფრთხოებებზე ზედამხედველობის გაძლიერება და ამ მიზნით ერთიანი სახელმწიფო სისტემის ფორმირება.

როგორც აღვნიშნე, ამ გრანდიოზული სამუშაო გეგმის აღსრულება წლების მიხედვით პუნქტობრივად გაწერილია 2014-2016 წლებზე. მკითხველი დამეთანხმება, რომ,პრაქტიკულად შეუძლებელია, ამ დიდი დოკუმენტის ერთ საჟურნალო სტატიაში დაწვრილებით გადმოტანა და მისი სრულად მოწოდება. ნიშანდობლივია ის ფაქტიც,რომ ამ თითქმის ყოვლისმომცველი სამთავრობო გეგმის შესრულებაზე 2014 წლიდან, სპეციალური ჯგუფის მეშვეობით, სახელმწიფო მკაცრ მონიტორინგს განახორციელებს. თუ ამ გეგმის,თუნდაც აქ წარმოდგენილ ნაწილს გამოწვლილვით გავაანალიზებთ,დავრწმუნდებით,რომ ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის მიერ შშმ პირებზე ზრუნვა და მათდამი ყურადღება სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი,რასაც ვერაფრით ვერ ვიტყოდით ვერც ერთ მის წინამორბედ ხელისუფლებებზე.

კიდევ ერთი დეტალი ამ სამთავრობო გეგმიდან,- კვლევითი სამუშაოების დამთავრებისა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემდეგ, შშმ პირთა და მათი ორგანიზაციების სახელმწიფოსთან ურთიერთობის სიმძიმის ცენტრი (როგორც ფინანსურ,ასევე სხვა ასპექტებშიც),ძირითადად გადავა მმართველობის ადგილობრივ ორგანოებზე. ყოველ გამგეობასთან ჩამოყალიბდება სპეციალური საბჭოები (თუმცა შესაძლოა ეს დასახელება შემდგომში შეიცვალოს), რომლებიც თავიანთ სამოქმედო არეალში კორდინაციას გაუწევენ შშმ პირებთან ურთიერთობას. მ საბჭოების შემადგენლობაში იქნებიან: გამგეობის ხელმძღვანელი მუშაკები და მათდამი რწმუნებულ ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრებ შშმ პირთა წარმომადგენლები. ამ საბჭოს რეკომენდაციის ან ვიზის გარეშე შშმ პირებთან დაკავშირებული ვერც ერთი გადაწყვეტილება ვერ მიიღება გამგეობის მიერ.

ამ გეგმის მთელი სისრულით ამოქმედების შემთხვევაში (რაშიც თითქმის დარწმუნებული ვარ), ქართველ შშმ პირთა წინაშე საკუთარ შესაძლებლობათა მაქსიმალური რეალიზაციისათვის საკმაოდ ვრცელა ასპარეზი გადაიშლება. უფრო ინტენსიური გახდება ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ მოქმედ სხვადასხვა სახის არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაციებთან. ყოველივე ეს კი ჩვენგან დიდ და მიზანმიმართულ ძალისხმევას მოითხოვს, რათა არ ჩამოვრჩეთ განვითარების თანამედროვე დაჩქარებულ ტემპებს. მთელი ჩვენი ენერგია და ფიზიკურ-ინტელექტუალური პოტენციალი უშურველად უნდა მოვახმაროთ ჩვენივე საიმედო მომავლისათვის ბრძოლას. როგორც სულმნათი ილია ბრძანებს:

„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი".

თეიმურაზ მიქიაშვილი

# ბავშვის ინვალიდობა, ქრონიკული ავადმყოფობა და ხანგრძლივი სოციალური დეზადაპტაციის მიზეზი

ეს წერილი ეხება იმ ოჯახებს, სადაც იზრდებიან ინვალიდობის მქონე ბავშვები. არ არის დასამალი, რომ ასეთ ოჯახებში წარმოიქმნება მთელი რიგი სიძნელეები, რომლების გადაჭრაც ძალიან უჭირთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებს. იმისათვის, რომ წარმატებით გადაწყდეს არსებული პრობლემები, საჭიროა ამ პრობლემებში კარგად გარკვევა. ამიტომ, მშობლებმა, რომლებიც ზრდიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს, უნდა იცოდნენ ასეთი ოჯახების ფსიქოლოგიურ-პედაგოდიური თავისებურებები, რაც დაეხმარებათ ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაში.

ბავშვის ინვალიდობა ხშირად ხდება ოჯახის ღრმა და ხანგრძლივი სოციალური დეზადაპტაციის მიზეზი. განვითარებაში გადახრების მქონე ბავშვის დაბადება, მიუხედავად მისი დაავადების თუ ტრავმის ხასიათისა და ხანგრძლივობისა, ცვლის, უფრო ხშირად კი არღვევს ოჯახის ცხოვრების მიმდინარეობას. ბავშვის დეფექტის გამოვლენა და ინვალიდად აღიარება, თითქმის ყოველთვის იწვევს მშობლებში მძიმე სტრესულ პროცეცებს. ვიღაც ტირის, ვიღაც გულით დაატარებს უსაშველო ტკივილს, რომელიც შეიძლება გახდეს გაავების და აგრესიის მიზეზი. მთლიანად შორდებიან მეგობრებს, ნაცნობებს და თქვენ წარმოიდგინეთ მშობლებსა და ნათესავებსაც კი. ეს ის ტკივილისა და მღელვარების პერიოდია, რომელიც აუცილებლად უნდა განიცადოს და გადაიტანოს. ეს იმ სინანულისა და დარდის დროა, რომელიც აუცილებლად უნდა გადმოიღვაროს და დაიცალოს. როდესაც ადამიანი გადაიტანს სიმწრის, გაავებისა და სიშმაგის დღეებს, მხოლოდ მაშინ შეუძლია მშვიდად გაანალიზოს სიტუაცია და უფრო კონსტრუქციულად მიუდგეს მის წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადალახვას.

ამერიკელი ფსიქიატრი რებეკა პულსი აღნიშნული პერიოდისათვის დამახასიეთებელ გრძნობებს — დარდის, განრისხებას, შოკისა და უარყოფის პირველ რეაქციას, ტიპიურ რეაქციებად მიიჩნევს. ძნელია დაიჯერო მომხადი რამდენიმე დღის, კვირის, თვის და წლების განმავლობაშიც კი. შემდეგ დგება ღრმა დარდის და, ბოლოს, ავადმყოფობაზე ზეგავლენის მოხდენის შეუძლებლობის და გამოწვეული უძლურებისაგან იბადება მრისხანება, გულგატეხილობა და უიმედობა. ფსიქოლოგები გამოყოფენ მშობლების მიერ ინვალიდი შვილის მიმართ თავისი პოზიციის ჩამოყალიბების 4 ფაზას:

პირველი ფაზაა — შოკი, რომლისთვისაც დამახასიათებელია უძლურების, გაღიზიანების, დაბნეულობის, შიშის, საკუთარი თავის არასრულფასოვნად აღქმა. მეორეა — "დეფექტთან არაადეკვატური დამოკიდებულების" ფაზა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნეგატივიზმი და დასმული დიაგნოზის უარყოფა, რომელსაც მეცნიერები მიაკუთვნებენ თავისებურ და დამცავ რეაქციას. მესამე ფაზაა — "ბავშვის დეფექტის ნაწილობრივ გააზრება", რომელსაც თან ახლავს "ქრონიკული დარდი". ეს "დეპრესიული მდგომარეობაა", რომელიც წარმოადგენს მშობლების ბავშვის მოთხოვნილებებზე დამოკიდებულ მუდმივად არსებულ შედეგს, ბავშვზე დადებითი შედეგის უქონლობის ნაყოფს; მეოთხე ფაზა — ოჯახის ყველა წევრის სოციალურ-ფსიქოლოგიური ადაპტაციის დასაწყისია, რომელიც გამოწვეულია დადგენილი დეფექტების აღიარებით, სპეციალისტების რეკომენდაციებისადმი ადეკვატური დამოკიდებულების შექმნით.

სამწუხაროდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ყველა მშობელი როდი მიდის სწორ გადაწყვეტილებამდე, რომელიც ცხოვრებისათვის სასიცოცხლო პერსპექტივების და ცხოვრების აზრის შეძენის საშუალებას მისცემს. მრავალ მათგანს არ შეუძლია ამ პრობლემების დამოუკიდებლად მოგვარება. ამის გამო ერღვევათ ცხოვრებასთან და, ზოგადად, სოციალურ პირობებთან შეგუება (მორგება). ამ ოჯახებში თავს იყრის სამედიცინო, ეკონომიური და სოციალურ — ფსიქოლოგიური პრობლემები, რომელსაც მიჰყავს ისინი ცხოვრების ხარისხის გაუარესებამდე, საოჯახო და პირადი პრობლემების წარმოშობამდე.

ამ შემთხვევაში დახმარება განსაკუთრებით უნდა იგრძნობოდეს ნათესავებისაგან და მეგობრებისაგან, მაგრამ როდესაც ნათესავები და მეგობრები იგებენ ბავშვის ტრავმის ან ავადმყოფობის შესახებ, ბუნებრივია, ისინი განიცდიან საკუთარ კრიზისს. ყოველ მათგანს უწევს ჩაფიქრება ბავშვისა და მისი მშობლების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების განსაზღვრის შესახებ. განსაკუთრებულ მძიმე მდგომარეობაში არიან ბავშვის ბებია-ბაბუები, ბავშვის დედ-მამის მშობლები, არ იციან როგორ დაეხმარონ და ეშინიათ უტაქტო საქციელის. ნათესავების და მეგობრების უმრავლესობა  გრძნობენ რა თავიანთი ნათესავი ოჯახის მძიმე ცხოვრების მოლოდინს, თავს არიდებენ ზედმეტ ნერვიულობას, უპირატესობას აძლევენ გაჩუმებას, თითქოს ვერ ამჩნევენ პრობლემას, რომელიც უფრო ამძიმებს ბავშვის მშობლების ისედაც მძიმე მდგომარეობას.

არის შემთხვევები, როდესაც ინვალიდობის მქონე ბავშვის ბებია-ბაბუები სირცხვილის გამო უარს აცხადევენ საკუთარი ინვალიდი შვილიშვილის აღიარების შესახებ. პირველ რიგში ეს ვრცელდება ღრმა გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ბავშვებზე, რომლებიც თავიანთი გარეგანი მდგომარეობით და არაადეკვატური საქციელით იპყრობენ არაჯანსაღ ყურადრებას და წარმოშობს ნაცნობი და უცნობი ადამიანების გაუთავებელ და ზოგჯერ ძალიან უტაქტო შეკითხვებს. ყოველივე ეს, ბავშვთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებთან ერთად,

გაგრძელება →

მძიმე ტვირთად აწვება ბავშვის მშობლებს, პირველ რიგში კი დედას, რომელიც ისედაც დათრგუნულია და თავს გრძნობს დამნაშავედ "ასეთი ბავშვის გაჩენის გამო". ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ შენი შვილი "ისეთი არ არის, როგორც ყველა ბავშვი". საკუთარი შვილის მომავლის შიში, დაბნეულობა, აღზრდის თავისებურებების უცოდინრობა, სირცხვილი იმის შესახებ, რომ "დაბადე არასრულფასოვანი შვილი", მშობლები მიჰყავს საზოგადოებისაგან, ნათესავებისაგან და მეგობრებისაგან გარიყვამდე და ურჩევნიათ მარტომ გადაიტანონ თავიანთი მწუხარება.

ინვალიდობის მქონე ბავშვთან ერთად ცხოვრება ყოველთვის ძნელია. მაგრამ არის უფრო რთული პერიოდები, რომელიც ძალიან გამოირჩევა თავისი დაძაბულიბით და ემოციური მიმდინარეობით.

კრიზისულ პერიოდებში ასეთი ოჯახების დახმარება აუცილებელია. ამიტომ, ყველა ჩვენთაგანის ვალია გვერდში დავუდგეთ და მოვეხმაროთ მათ ამ უმძიმესი სიძნელეების გადალახვაში.

## შეზღუდული შესაძლებლობის მქონე - ბავშვები და საზოგადოება

### შეზღუდული შესაძლებლობა (უნარი) - არსი და განსაზღვრება

არ არსებობს ერთი, კონკრეტული პასუხი კითხვაზე - "რა არის შეზღუდული შესაძლებლობა (უნარი)". რთულია აბსოლიტური ჭეშმარიტების დადგენა მაშინ, როდესაც საქმე ადამიანის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობის შესწავლას ეხება. ხშირად სხვადასხვა მეცნიერების წარმომადგენლები შეზღუდული შესაძლებლობის ტერმინის განსხვავებულ განმარტებებს გვთავაზობენ. ზოგიერთი მათგანი საერთო ნიშნით გაერთიანებულ პიროვნებათა ჯგუფის ნიშან-თვისებების ანალიზს შეიცავს (შემეცნებითი უნარი, სტერეოტიპული ქცევა), სხვა კონცეფციებში კი წინა პლანზე არის წამოწეული სოციალური საკითხები, რაც უფრო სოციალური ჯგუფების განსაზღვრას წარმოადგენს, ვიდრე ცალკეული პიროვნების თვისებების დახასიათებას.

არსებობს ასევე სხვადასხვა მოსაზრება იმაზე, თუ რამდენად უშლის შეზღუდული შესაძლებლობა პიროვნებას ყოველდღიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ზოგი- ერთი მკვლევარი თვლის, რომ სწორად ორგანიზებული საზოგადოების შემთხვევაში, ცალკეული პიროვნებების შეზღუდული შესაძლებლობა ნაკლებად გამომჟღავნდება.საკითხისადმი ასეთი მიდგომა შეიძლება პოლიტიკური და ეკონომიური კატეგორიებით აიხსნას. სხვა სპეციალისტების აზრით, შეზღუდული შესაძლებლობა არ წარმოადგენს არათანასწორი და არაერთგვაროვანი საზოგადოების შედეგს. "ერთიანობის" მიღწევის აუცილებლობა აიძულებს ადამიანებს, შეზღუდონ საკუთარი შესაძლებლობა, რათა გვერდით მდგომთ გაუტოლდნენ. სწორედ ეს ლო- გიკა ამცირებს იმ დამატებითი საგანმანათლებლო მხარდაჭერის მნიშვნელობას, რაც აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მაქსიმალური სტიმულირებისათვის.

### საზოგადოების დამოკიდებულება

საზოგადოების დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიმართ ნათლად ვლინდება იმ ტერმინებში, რომელსაც იყენებს, როცა ე.წ. "იარლიყებს" ანიჭებს. ეს ტერმინები ხშირად ადრეული ასაკიდანვე გამოყოფენ და იზოლაციაში აქცევენ მათ,"ვინც არ არის ყველას მსგავსი". საზოგადოების განვითარებასა და მენტალიტეტში მომხდარი ცვლილებების ფონზე, დღეისათვის მიუღებელი ტერმინები "ხეიბარი", "ინვალიდი", შეიცვალა ახალი, უფრო თანამედროვე, დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი განსაზღვრებით – შეზ- ღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები. სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით განმარტებას "განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები", რაც თავისთავად ხაზს უსვავს მათი საჭიროებების სპეციფიურობას და ასევე ერთგვარ იარლიყს წარმოადგენს. მთავარი ამ შემთხვევაში არის დამოკიდებულება - არა ბავშვების, არამედ იმ საზოგადოების, რომელთანაც ისინი კონტაქტში არიან. კანონები გვკარნახობენ წესებს, მაგრამ მათ არ შეუძლიათ პოზი ტიური განწყობის შექმნა. აღიარებულია, რომ ყველაზე დიდი ბარიერი, რომლის გადალახვაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს უწევთ, არის მშობლების, პედაგოგების, სხვა ბავშვების დამოკიდებულება. ბავშვისათვის აუცილებელია იმის შეგრძნება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის საზღვრებში მას გააჩნია დამოუკიდებლობა.

არასწორია შეზღუდული შესაძლებლობის ავადმყოფობასთან გაიგივება. შეზღუდვათა უმეტესობა მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება, თუმცა მისი უარყოფითი ეფექტის შემცირება შესაძლებელია, როდესაც პიროვნება სწავლობს, ადაპტირდება და შესაძლებლობებსაც მაქსიმალურად განავითარებს.

### საზოგადოებაში გავრცელებული ნეგატიური მიდგომები

ადვილია იმის აღიარება, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკითხისადმი დამოკიდებულებას, თუმცა ძნელია ამოიცნო საკუთარი ნეგატიური მიდგომა. სპეციალურ ლიტერატურაში მეისის მიერ (აშშ, 1978წ.) აღწერილია ექვსი, ყველაზე გავრცელებული ნეგატიური მიდგო- მა: შიში, სიმპატია, თავის არიდება, არაკეთილგანწყობა, გადამეტებული მზრუნველობა, ზერელე ტოლერანტობა. აღნიშნული მიდგომების გაცნობა დაგვეხმარება ჩვენი საკუთარი დამოკიდებულების ამოცნობასა და საჭიროების შემთხვევაში შეცვლაში.

**შიში** – ზოგიერთი ადამიანი თვლის, რომ შეზ-

გაგრძელება →

ღუდულობა გადამდებია და ზიანს მიაყენებს. მათ მიაჩნიათ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან ურთიერთობა დეპრესიის გამომწვევია, რამდენადაც ისინი უბედურები და დეპრესიულები არიან. ამ შემთხვევაში იოლი დასანახია რატომ არის შიში ნეგატიური მიდგომა.

**სიმპატია** – გაცილებით რთული შესამჩნევია რატომ არის სიმპატია ნეგატიური დამოკიდებულება. მაგრამ თუ ჩავუკვირდებით სიმპატიის გამომხატველ ფრაზებს, ყველაფერი ნათელი გახდება. ჩვეულებრივ გვესმის: "ოჰ, საწყალი", "ისე მეცოდება". ასეთ შემთხვევაში სიმპატია მხოლოდ ამცირებს ადამიანის ღირსებას.

**თავის არიდება** - ზოგიერთი ადამიანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან ურთიერთობით დისკომფორტს განიცდის, ცდილობს ასეთ სიტუაციებს მაქსიმალურად აარიდოს თავი, რაც თავისთავად, ორივე მხარისათვის მორალურ დანაკარგს წარმოადგენს.

**არაკეთილგანწყობა** - არასასურველი კონტაქტების თავიდან აცილების ერთ-ერთი შესაძლო რეაქციაა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები გრძნობენ მათდამი ასეთ განწყობას და თუ უფროსებში ეს არასასიამოვნო გრძნობას იწვევს, ბავშვებისათვის - გამანადგურებელია.

**გადამეტებული მზრუნველობა** – სიმპატიის მსგავსად, გადამეტებული მზრუნველობა ერთი შეხედვით შეიძლება პოზიტიურ დამოკიდებულებად ჩაითვალოს. ისმის კითხვა - ხომ უნდა დავიცვათ ბავშვი უსიამოვნებებისა და გაუცხოებისაგან? მაგრამ ბავშვი ვითარდება სირთულეების წარმატებით გადალახვისას.ყველა ბავშვს უნდა მიეცეს საშუალება შესაძლებლობი მაქსიმალურად გამოავლინოს, რაც გარკვეული დაბრკოლებების გადალახვის გარეშე შეუძლებელია. ჩვენ შეიძლება ხელი შევუწყოთ მათ ამ პროცესში, მაგრამ მათ მაგივრად ვერ განვვითარდებით. გადამეტებული მზრუნველობით მოცული ბავშვები ხდებიან დაუცველი, დამოკიდებული მოზარდები და ვერ ახდენენ საკუთარი შესაძლებლობის რეალიზებას.

**ზერელე ტოლერანტობა** – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების ყველაზე გავრცელებული ფორმაა. მათ, ვისაც ასეთი მიდგომა გააჩნიათ, ახასიათებთ საკითხისადმი ზედაპირული მიდგომა. ისინი მხოლოდ სიტყვიერი, ფინანსური დახმარებით შემოიფარგლებიან და თავს არიდებენ პირდაპირ, ღია კონტაქტებს მათთან, ვისაც უნარშეზღუდულებს უწოდებენ. უნდა აღინშნოს,რომ ეს უკანასკნელი ყველაზე ნაკლებად გულ- წრფელი დამოკიდებულებაა. ისინი თავს ვალმოხდილად გრძნობენ და ამით კიდევ უფრო აღრმავებენ იმ ზღვარს,რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და დანარჩენ საზოგადო- ებას შორის არსებობს.

**პოზიტიური მიდგომა** – თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ვაღიარებთ ისეთებად, როგორც ისინი არიან და მხოლოდ ამით შემოვიფარგლებით, ეს მათ მხოლოდ ზიანს მოუტანს. ამის ნაცვლად უნდა ვიყოთ "აქტიური მოდიფიკატორები", ანუ ოპტიმისტურად განწყობილნი ბავშვის შემდგომი განვითარების მიმართ და ხელს ვუწყობდეთ ამ პროცესს შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:

- ყველა ცოცხალი არსება განიცდის განვითარებას;
- პიროვნება, რომელსაც მე ვასწავლი, ვითარდება;
- მე შემიძლია პიროვნების განვითარებას ხელი შევუწყო;
- მე თავად ვარ პიროვნება, რომელსაც შეუძლია და უნდა განვითარდეს.
- საზოგადოება და საზოგადოებრივი აზრი არის განვითარებადი და უნდა ვითარდებოდეს.

## სპეციალური განათლება

სპეციალური განათლება არის განსაკუთრებული სახის სწავლება, რომელსაც სასწავლო დაწესებულებები ახორციელებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განსაკუთრებული (ინდივიდუალური) მოთხოვნების შესაბამისად.

სპეციალური განათლება ხორციელდება როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე სპეციალური განათლების კლასებში და ეფუძნება კონცეფციას ნაკლებად შეზღუდული გარემოს შესა ხებ; ეს კი, თავის მხრივ, წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლებას, შესაბამისი ხელშეწყობით მიიღონ განათლება და განვითარდნენ მათი თანატოლებისათვის ჩვეულ გარემოში. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ნაკლებად შეზღუდულად მიიჩნევა ის გარემო, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს ეძლევა პოტენციალის მაქსიმალური განვითარებისა და სოციალიზაციის საშუალება.

ნაკლებად შეზღუდული გარემოს იდეის განხორციელება ანუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო კლასებში,განათლების სისტემაში ინტეგრირების გზით ხდება. ინტეგრირება ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ჩართვას მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ ოდენობით, რამდენადაც ისინი მინიმალური დახმარებით აკმაყოფილებენ ტრადიციულ აკადემიურ მოთხოვნებს. ის, თუ რამდენად იქნება ჩართული ბავშვი სასწავლო პროცესში, დამოკიდებულია თავად ბავშვის მოთხოვნილებების გათვალისწინებით შერჩეულ სპეციალური განათლების სახეობაზე, რაოდენობასა და ინტენსივობაზე. არსებობს მოსაზრება, რომ საუკეთესო გარემოს სპეციალური განათლებისათვის, სპეციალური კლასები წარმოადგენს.

### ინკლუზია

ინკლუზია წარმოადგენს რწმენას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები განათლებას უნდა იღებდნენ თანატოლებთან ერთად, განურჩევლად იმისა, აკმაყოფილებენ თუ არა სასწავლო პროგრამების (კურიკულუმის) ტრადიციულ

გაგრძელება →

სტანდარტებს. ინკლუზიის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების ხშირი გამოყვანა საკლასო ოთახიდან მათთვის დახმარების გასაწევად, არა მარტო წყვეტს განათლების პროცესს, არამედ ამახვილე- ბს ყურადღებას მათ შეზღუდულობაზე და კიდევ უფრო აძლიერებს დამოკიდებულების გრძნო- ბას. სწორედ ამის, გამო ბევრი მკვლევარი თვლის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლების საუკეთესო ფორმას, სრული ინკლუზია წარმოადგენს.

**რატომ იწვევს ინკლუზია აზრთა სხვადასხვაობას?**

მიუხედავად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაგროვილი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილებისა, საზოგადოებრივი აზრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლების შესახებ დღემდე არაერთგვაროვანია: ზოგს მიაჩნია, რომ შეზღუდული უნარის მიუხედავად, ყველა ბავშვი, მთელი დროის განმავლობაში, ერთ სასწავლო გარემოში უნდა იყოს, ხოლო სხვათა აზრით ზოგადსაგანმანათლებლო კლასებში მხოლოდ ის ბავშვები უნდა მოთავსდნენ, რომლებიც სავალდებულო სტანდარტებს აკმაყოფილებე.

**ინკლუზიის დამცველთა არგუმენტები:**

1. ყველა მოსწავლეს აქვს განათლების მიღების უფლება ერთ სასწავლო სივრცეში, თანატოლებთან ერთად, რაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაშია შესაძლებელი.
2. ინკლუზიურ განათლებას სარგებლობა მოაქვს ყველა ბავშვისათვის: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, მათი შესაძლებლობის გათვალისწინებით, აკადემიურ განათლებასთან ერთად, სხვა მოსწავლეების ქცევაზე დაკვირვებით იძენენ სოციალურ ჩვევებს, რაც მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოებაში მათი სრულყოფილი ინტეგრირებისათვის. ინკლუზია ეხმარება ჩვეულებრივი განვითარების მოსწავლეებსაც: ისინი სწავლობენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობა მხოლოდ განსხვავებულობის ერთ-ერთ სახეობაა და სხვადასხვა შესაძლებ- ლობის მიუხედავად, მათ შეუძლიათ ერთად სწავლა და მეგობრობა.
3. როდესაც მოსწავლეები ხშირად ტოვებენ ზოგადსაგანმანათლებლო კლასს სპეციალურ კლასებში დასასწრებად, თანაკლასელებში მათ ხშირად უჩნდებათ შეზღუდულობასთან დაკავშირებული ზედმეტსახელები (ლეიბლები). გასვლითი პროგრამები ასევე იწვევს ფრაგმენტაციას. მოსწავლეებს უჭირთ სპეციალური განათლების კლასში მიღებული ინფორმაციის შერწყმა ზოგადსაგანმანათლებლო კლასში მიღებულ ინფორმაციასთან.
4. ხშირ შემთხვევაში სპეციალურ კლასებში გამოყენებული მიდგომები არ განსხვავდება ზოგადი განათლების კლასში გამოყენებული მიდგომებისაგან.

**მათი არგუმენტები, ვინც მიიჩნევს რომ ინკლუზია შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ პირობებში:**

1. იმის აღიარება, რომ ყველა მოსწავლე უნდა მოთავსდეს ზოგადსაგანმანათლებლო კლასში, ნიშნავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის განსაკუთრებულ თავისებურებათა უარყოფას. ყველა მოსწავლეზე თანაბარი ზრუნვა ასევე ართმევს მას უფლებას მიიღოს ინდივიდუალიზირებული განათლება.
2. ხშირ შემთხვევებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები (უმეტესად ეხება ქცევისა და სწავლის უნარშეზღუდვის მქონეთ) სპეციალური განათლების კლასებში ინდივილუალური მიდგომის საშუალებით იძენენ მეტ ცოდნასა და უნარ—ჩვევას, ვიდრე ზოგადსაგანმანათლებლო კლასებში.
3. ხშირ შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო კლასში შეუძლებელია ამა თუ იმ კონკრეტული უნარშეზღუდვის მქონე ბავშვისათვის საჭირო დახმარების განხორციელება მის შეზღუდვა- ზე საგანგებო ყურადღების მიქცევის გარეშე,რაც ეწინააღმდეგება პრინციპს ნაკლებად შეზღუდული გარემოს შესახებ.
4. ხშირად ზოგადსაგანმანათლებლო კლასების პედაგოგები არასაკმარისად იცნობენ შეზღუდუ- ლი შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლების თავისებურებებს. მრავალრიცხოვანი კლასების პირობებში, ისინი ცდილობენ მაღალი საერთო აკადემიური დონის შენარჩუნებას და ხშირად ანგარიშს ვერ უწევენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შესაძლებლობებს.
5. წარმატებული ინკლუზია შეუძლებელია მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის დამხმარე მომსახურების გარეშე, რაც ითვალისწინებს დამხმარე მეთოდურ მასალებს, ტრენინგებს, სხვა და სხვა პროფესიონალების დახმარებას. ასეთი მომსახურება კი მწირი ფინანსური პირობე- ბის შემთხვევაში ვერ განხორციელდება.

**ინკლუზია და პედაგოგები**

ინკლუზიური განათლებისადმი დამოკიდებულება განსხვავებულია განათლების სფეროში მო მუშავე პროფესიონალებს შორისაც. ზოგადი განათლების პედაგოგთა და პედაგოგიკის სფერო- ში მომუშავე სხვა სპეციალისტ-დეფექტოლოგების გარკვეული ნაწილის მიერ გამოთქმული ნე- გატიური დამოკიდებულება ძირითადად აიხსნება განათლების სისტემის იმ მოძველებული სტე- რეოტიპებით, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლების ერთად ერთ საშუალებად სპეციალურ სასწავლებლებს აღიარებდა.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ის პედოგოგები, რომელთაც გარკვეული ცოდნა და გამოცდილება გააჩნიათ შეზღუდული შესაძლე-

გაგრძელება →

ბლობის მქონე ბავშვების განათლების საკითხებში, მიიჩნევენ, რომ ინკლუზიის წარმატებით განხორციელება გარკვეულწილად დამოკიდებულია მათ აქტივობასა და ქმედებებზე ანუ იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ ისინი მოემზადონ თავად და მოამზადონ კლასი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მისაღებად; რამდენად შეძლებენ ისინი უზრუნველყონ კლასში სასწავლო დონის შენარჩუნება და ამასთანავე, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვისათვის მაქსიმალური დახმარების გაწევა. ამასთან დაკავშირებით პედაგოგთა უმეტესობა ხაზგასმით აღნიშნავს სხვადსხვა სპეციალისტის მიერ პროფესიონალური დახმარების აუცილებლობას

სასწავლო დაწესებულებებში ინკლუზიის წარმატებული განხორციელებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია დაწესებულების ადმინისტრაციის დამოკიდებულება. ინკლუზიური განათლებისადმი გარკვეულ შიშს ხშირ შემთხვევაში დირექტორები ხსნიან იმ ფაქტორით, რომ არ გააჩნიათ შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომ ზოგადი განათლების პედაგოგებს არ გააჩნიათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მუშაობის გამცდილება, ამიტომ ინკლუზიაზე ლაპარაკი ნაადრევია. ასეთი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა აფერხებს ინკლუზიური პრაქტიკის დანერგვას.

იმ დაწესებულებაში, სადაც ადმინისტრაცია აღიარებს ინკლუზიური განათლების უპირატესობას და გამოთქვამს მზაობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მისაღებად, შესაძლებელი ხდება პედაგოგიური კოლექტივის ინიციატივობის ამაღლება და ინკლუზიის თანმიმდევრული დანერგვა.

**სკოლაში ინკლუზიური სწავლების და მომსახურების ფორმები**

მომსახურებანი, რასაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები იღებენ, მრავალნაირია და განისაზღვრება სპეციალისტთა გუნდის მიერ ცალკეული მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე.

მომსახურება ორ კატეგორიად არის დაჯგუფებული:

სპეციალური განათლება — ადაპტირებული მასალა, ალტერნატიული სასწავლო პროგრამები, სპეციალური განათლების პედაგოგი, რომელიც კვალიფიცირებულია ცალკეული შეზღუდულობის მქონე მოსწავლეთა სწავლებაზე და ინდივიდუალიზირებული სწავლება.

დაკავშირებული მომსახურება – ყველა ის დახმარება, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეს შეიძლება დასჭირდეს სპეციალური განათლების შედეგების მისაღწევად: მეტყველების თერაპია, სარეაბილიტაციო ჩვევების გამომუშავება, ფსიქოლოგის მომსახურება და სოციალური მუშაობა.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

## ზოგადი ცნობები მეტყველების განვითარების შესახებ

**ნ. პარფენოვა,**
რუსეთის ფედერაციის უმაღლესი ჯატეგორიის მასწავლებელი

### რა ვიცით მეტყველების წარმოშობის შესახებ?

იმისათვის, რომ გაერკვიათ მეტყველების წარმოშობა და ბუნება, მეცნიერებმა ბოლო 100 წლის მანძილზე ჩაატარეს მრავალი კვლევა. ადამიანისათვის დამახასიათებელი მეტყველებისა და სიტყვიერი აზროვნების უნარის განვითარებას გააჩნია საკუთარი წინაისტორია. ყველა ცხოველი ჩვეულებისამებრ ამჟღავნებს იმ ხმების მიბაძვის უნარს, რომელიც გააჩნია ამა თუ იმ სახეობას. თუ, მაგალითად, ერთი ძაღლი აყეფდა, სხვა ძაღლები, რომლებიც ახლო-მახლო იმყოფებიან, მაშინვე იწყებენ ყეფას. ხმის მიბაძვის განსაკუთრებულად დიდი უნარი გააჩნია ზოგიერთ ფრინველს. ცხოველები, როგორც ურთიერთობის საშუალებას, იყენებენ არა მარტო ბგერით გამოძახილს, არამედ მოძრაობასაც, რომელიც ატარებს, ძირითადად, ინსტინქტიურ ხასიათს.

ბოლო ხანს მეტყველებისა და სიტყვიერი აზროვნების შესახებ მეცნიერების მიერ ჩატარებულმა დაკვირვებებმა გამოავლინა, რომ ცხოველთა ურთიერთობის საშუალებები არ მთავრდება მხოლოდ ინსტინქტიური ხმებითა და მოძრაობებით, — ცხოველებს გააჩნიათ ურთიერთობის ფორმებიც, რომელიც გამოიმუშავეს ცხოვრების გამოცდილების შედეგად.

მეცნიერები ამტკიცევენ, რომ პირველყოფილ ადამიანებს ჟესტიკულარული და სიტყვიერი მეტყველება განუვითარდათ აფექტზე წარმოშობილი ხმის და მასთან თანმხლები მოძრაობების მიბაძვის შედეგად. როგორც ისინი თვლიან, ეს წარმოიშვა, იმის ზემოქმედებით, რომ ადამიანებმა დაიწყეს მათ ხელთ არსებული ურთიერთობის საშუალებების გამოყენება. შრომის პროცესში ადამიანებს ხშირად უჩნდებოდათ ერთმანეთისათვის რაიმის ახსნისა და თქმის მოთხოვნილება. ეს კი მოითხოვდა არა მარტო შეძახილს, არამედ სიტყვას და დასახელებას, ხოლო შემდეგ მეტყველებას და გაგებაღქმას. შრომის პროცესში მოხდა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა; უფრო სრულყოფილი ხდებოდა ხელის თითების მოძრაობა, ამასთან დაკავშირებით კი მიმდინარეობდა თავის ტვინის აგებულების გართულება. ამჟამად ეს დამოკიდებ-

**გაგრძელება →**

ულება დამტკიცებულია. თანამედროვე მეცნიერება მეტყველების შესახებ თვლის, რომ როდესაც დაიწყო მეტყველების განვითარება, თავიდან ადამიანებმა დაიწყეს საგნების დასახელების გამოყოფა მათ ნიშნებთან და მოქმედებებთან ერთად. ამ დამოკიდებულებით პირველყოფილი მეტყველება ბავშვის მეტყველების მსგავსია, რომლის გაგება შეიძლება მხოლოდ კონკრეტულ მდგომარეობაში. სხვადასხვა მნიშვნელობის პირველყოფილ მეტყველებას ჩაენაცვლა თავისი დონით უფრო მაღალი მეტყველების რიგი დანაწევრებული არსებითი სახელებით, შემასმენელით და მეტყველების სხვა ნაწილებით. გამოიყო ადგილმდებარეობის დასახელება, მე, შენ, ის. პირველყოფილი სიტყვა გასაგები იყო მხოლოდ შესაბამის სიტუაციაში და მდგომარეობაში და საჭიროებდა თანმხლებ ჟესტიკულაციას. შემდგომ პერიოდში მეტყველება და სიტყვა ხდება უფრო დანაწევრებული და დამოუკიდებელი, რომელიც განპირობებული იყო ადამიანის ამაღლებული აზროვნების როლით.

რატომ აქვს მხოლოდ ადამიანს დანაწევრებული მეტყველებისა და განყენებული აზროვნების უნარი? ამ შეკითხვაზე მხოლოდ ერთადერთი პასუხი არსებობს — ეს დამოკიდებულია ტვინის განსაკუთრებულ აგებულებაზე. ი. პავლოვი ტვინს უწოდებდა გარშემო არსებულ პირობებთან შეგუების (მორგების) ორგანოს. ტვინი აკავშირებს ადამიანის ორგანიზმს მის გარეგან და შინაგან სამყაროსთან, საშუალებას აძლევს მოერგოს და შეეგუოს მის გარშემო არსებულ პირობებს. რაც უფრო რთული აგებულებისაა ტვინი, მით უფრო სრულყოფილი, ნატიფი და ხანგრძლივი იქნება შეგუების მექანიზმი. ახლად დაბადებულ ბავშვს გააჩნია მოუმწიფარი ტვინი, რომელიც მრავალი წლების განმავლობაში შემდგომი ზრდის პროცესში ვითარდება. ახლად დაბადებულის ტვინის წონა შეადგენს 350-400 გრამს, ერთი წლის გასვლის შემდეგ მისი წონა სამმაგდება, ხოლო ექვსი წლის ასაკში მისი წონა უტოლდება ზრდასრული ადამიანის ტვინს. ადამიანის თავის ტვინი გარეგანი შეხედულებით წააგავს სოკოს და ძალიან რთული აგებულებისაა. მას გააჩნია ორი ნახევარსფერო – მარჯვენა და მარცხენა. სწორედ ამ ნახევარსფეროების განვიარებაზეა დამოკიდებული ბავშვის მეტყველების განვითარება, რადგანაც ამ ნახევარსფეროებშია განლაგებული შემეცნების, აზროვნების, გრძნობის ორგანოების და მეტყველების ცენტრები.

ადამინის ტვინის ქერქში — 17 მილიარდი ნერვული უჯრედია, რომელიც წარმოადგენს ორგანიზმის ყველაზე ძვირფას ელემენტებს. ბავშვის დაბადებისთანავე მათი გამრავლება მთავრდება და შემდეგ, ადამიანის მთელი ცხოვრების განმავლობაში, ერთი უჯრედიც არ ემატება. ნერვული უჯრედების სიკვდილის შემთხვევაში, მათი აღდგენა არ ხდება. მეტყველების ცენტრებში ქერქის დაყოფა ფენებად და ნერვული უჯრედების მომწიფება სრულდება ძირითადად ბავშვის ორი წლის ასაკში, მაგრამ ტვინის სრული სრულყოფა მიმდინარეობს მრავალი წლების მანძილზე.

ამრიგად, ადამიანის მეტყველების და განყენებული აზროვნების განვითარების შესაძლებლობები განისაზღვრება მისი ტვინის განვითარების დონით. ბავშვის მეტყველების ფუნქციის დაგვიანებული ფორმირება (რამდენიმე წლის განმავლობაში) დაკავშირებულია მისი ტვინის დაგვიანებულ მომწიფებასთან.

რა როლი ეკისრება მეტყველებას ბავშვის საერთო განვითარებაში?

უპირველეს ყოვლისა, მეტყველების დახმარებით ადამიანები იღებენ ურთიერთობის დიდ შესაძლებლობას. მეტყველების საშუალებით ადამიანი იღებს დიდი რაოდენობის ინფორმაციას და იძენს მიღებული ინფორმსციის შესაბამის ცოდნას, იგი ადამიანებს აერთიანებს შემოქმედებით პროცესში, ეხმარება გაუგონ ერთმანეთს, აყალიბებს საერთო შეხედულებებს და რწმენას. მეტყველება ეხმარება გარშემო არსებული სამყაროს აღქმა—შემეცნებაში.

პატარა ბავშვებში ეს პროცესი ხორციელდება სიტყვის საშუალებით. ისინი არსებულ სამყაროს ეცნობიან ადამიანისათვის კარგად ცნობილი "გასინჯვის და შეცდომების აღქმის" მეთოდით, მაგრამ სულ მალე ისინი დიდების დახმარებით და მეტყველების საშუალებით იღებენ დიდ გამოცდილებას. არ შეიძლება რომ არ დავეთანხმოთ რუსი მეცნიერის მ.ვ. ლომონოსოვის სიტყვებს — "რომ არ შეძლებოდა ადამიანის მოდგმის ყოველ წევრს, საკუთარი შემეცნებული აზრის სხვებისთვის გაზიარება, ჩვენ არ გვექნებოდა არა მარტო საერთო საქმიანობის თანხმობით კეთების საშუალება, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა აზრების მართვის საშვალებით, არამედ ვიქნებოდით ტყეებში და უდაბნოებში გაბნეულ მხეცებზე უფრო დაბალ დონეზე"

უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეტყველებას ბავშვის ფსიქიკის განვითარებაში. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ბავშვის განვითარების ადრეულ ეტაპზე (უკვე მეორე წლიდან) სიტყვა და მეტყველება იწყებს ზეგავლენას საგნების თვისებების აღქმაზე. ბავშვები, რომლებსაც შეუძლიათ მეტყველება საჭირო დონეზე, ადვილად პოულობენ ერთმანეთთან ურთიერთობის კონტაქტებს, ხატოვნად აზროვნებენ, ერთმანეთს კარგად უგებენ და უთანხმებენ თავიანთ მოქმედებებს. იმ ბავშვების აღზრდა, რომლებსაც შეფერხებული აქვთ მეტყველება, ბავშვთა კოლექტივში იქნება თუ ოჯახურ პირობებში, ძალიან დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ასეთი ბავშვების მშობლები აღნიშნავენ, რომ ისინი გამოირჩევიან სიჯიუტით, მალე ღიზიანდებიან, ტირიან და ძნელია მათი დამშვიდება. ეს ბავშვები, რამდენადაც არ შეუძლიათ არსის დაჭერა და წარმოდგენილი მოთხოვნების გაგება, იმდენად ცუდად ერთვებიან საერთო თამაშებში და მეცადინეობებში. აქედან ჩანს, რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვისათვის მეტყველების დროული დაუფლება.

რაზე უნდა მიექცეს ყურადრება ბავშვის მეტყველების განვითარების დროს?

სხვადასხვა დარგის მეცნიერებნა, ფსიქოლოგებმა, ლინგვისტებმა, დეფექტოლოგებმა და სხვ.

გაგრძელება →

დააგროვეს ფაქტების დიდი რაოდენობა, რომლებიც გვარკვევენ მეტყველების მექანიზმებში. მშობლებისთვის სასარგებლოა იცოდნენ, რომ მუშაობა ბავშვების მეტყველების განვითარებისათვის უნდა ჩატარდეს განსაკუთრებული სერიოზულობით და ყურადრებით ბავშვის პირველი სამი წლის ასაკის პერიოდში. ცნობილია, რომ ცენტრალური ნერვული სისტემის ყველა ფუნქცია ყველაზე უკეთ ექვემდებარება ვარჯიშსა და აღზრდას მათი ბუნებრივი ფორმირების პერიოდში. თუ ამ პერიოდში იქმნება აღზრდის არახელსაყრელი პირობები, მაშინ მეტყველების ფუნქციის განვითარება შეფერხდება და უფრო გვიან ასაკში ჩამორჩენილობა ძნელად და არასრულყოფილად კომპენსირდება.

მეტყველებისათვის ასეთ კრიტიკულ პერიოდს წარმოადგენს ბავშვის ცხოვრების პირველი სამი წელი. ამ დროისათვის ძირითადად მთავრდება ტვინის მეტყველების სფეროების ანატომიური მომწიფება, ბავშვი ეუფლება მშობლიურ ენაზე მეტყველების ძირითად გრამატიკულ ფორმებს, აგროვებს სიტყვების დიდ მარაგს. თუ კი პატარის მეტყველებას პირველ სამ წელს არ მიექცა სათანადო ყურადღება, შემდგომში საჭირო იქნება დიდი ძალისხმევა დაკარგულის აღსადგენად.

ბავშვის მეტყველების სწორი განვითარებისათვის აუცილებელია მასთან ლაპარაკი დაბადების პირველი დღიდან. ბავშვთან ურთიერთობა უნდა იყოს ემოციური და სიხარულით გამთბარი. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ პირველი ექვსი თვე ბავშვთან ლაპარაკის დროს მნიშვნელოვანია არა მეტყველების შინაარსი, არამედ მხიარული ინტონაცია, ღიმილი — რომელიც იწვევს პატარის გამოცოცხლებას და მასთან კავშირის გაძლიერებას.

როდესაც ბავშვი ერთი წლის ხდება, დიდები ცდილობენ ასწავლონ სიტყვის გამეორება. გოგონებს ეს გამოსდით წლამდე, ბიჭებს კი ცოტა მოგვიანებით. როდესაც ვლაპარაკობთ ბავშვთან და ვცდილობთ ვასწავლოთ სიტყვის გამეორება, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ არჩეულ სიტყვაზე ან საგანზე. აუცილებელია შეიქმნას ისეთი სიტუაცია (პირობები), რომ ბავშმა იგრძნოს უფროსისაგან რაიმე საგნის თხოვნის ან პასუხის გაცემის აუცილებლობა. არ შეიძლება სურვილის შესახებ ბავშვის წინასწარ გაფრთხილება, მანამდე სანამ თვითონ არ მოახერხებს სიტყვის თქმას. წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვი ყველაფერს გაიგებს, სიტყვაზე სწორად მოახდენს რეაგირებას, ხოლო თვითონ პასუხს გაგვცემს ჟესტებით და უსიტყვო ხმებით.

ამრიგად, ბავშვის მეტყველების განვითარების დროს ზრდასრული ადამიანების მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს დადებითი ემოციური ფონის შექმნა. უფროსებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საკუთარ მეტყველებას. უნდა ილაპარაკონ სწორად. მათი ყოველი დეფექტი (ენის მოჩლექა, ღაღანი, ჩლიფინი, ენის ბორძიკი), ბავშვის მიერ აღქმული იქნება ისე, როგორც მოისმენს.

სპეციალისტები გვირჩევენ, რომ ბავშვთან ლაპარაკის დროს მეტყველების რიტმი არ უნდა იყოს სწრაფი. პატარასთან ლაპარაკი აუცილებელია დღეში რამდენიმეჯერ 3-5 წუთი და დაცული იქნას შემდეგი პირობები: ბავშვი უნდა ხედავდეს მასთან მოლაპარაკის სახეს. უფროსებმა უნდა ილაპარაკონ მკაფიოდ და საშუალო რიტმით. ილაპარაკონ იმაზე, რამაც მოცემულ მომენტში მიიპყრო ბავშვის ყურადღება. ბავშვთან ლაპარაკის სწავლების დროს უნდა გამოიყენონ საგნები (სათამაშოები, თეფშები, კოვზები, ჩანგლები, ბოთლები, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები და ა.შ.) ბავშვის განვითარების შესაბამისი ზომითა და დოზით, ე,ი, ბავშვის განვითა რების შესაბამისად.

რას ნიშნავს მეტყველების განვითარების შეფერხება?

მეტყველების განვითარების ყოველგვარი შეფერხება — არის ირგვლივ მყოფი ადამიანების ნათქვამის ცუდად აღქმა (გაგება), ხმის მიბაძვის გართულება, სიტყვის მწირი მარაგი, ფრაზებში და გრძელ (გაშლილ) წინადადევებში აზრების ცუდი გამოხატვა და ა.შ.

არსებობს მეტყველების განვითარების შემდეგი ეტაპები: ტიტინის, დამარცვლული სიტყვით ლაპარაკის, მთლიანი (სრული) სიტყვით მეტყველების, მარტივი წინადადებებით მეტყველების და რთული წინადადებებით მეტყველების ეტაპები. თუ ბავშვის მეტყველებაში არ შეინიშნება ერთი ეტაპიდან მეორე ეტაპზე მწყობრი გადასვლა და ის შეჩერდა განვითარების საწყის ეტაპზე, მაშინ მშობლებმა დროზე უნდა მიაკითხონ ამ დარგის სპეციალისტებს (ფიზიოლოგს, ლოგოპედს და დეფექტოლოგს).

მეცნიერები (ა.მილერი) თავიანთ ნაშრომებში მიუთითებენ, რომ მრავალი ბავშვის მეტყველება დაგვიანებით ფორმირდება, მრავალი მათგანი ცალკეულ სიტყვას 5-6 წლის ასაკში წარმოთქვამს. როგორც წესი, ეს ბავშვები სხვა ადამიანის მეტყველებას კარგად იგებენ, მაგრამ თავად ლაპარაკი უჭირთ. მათი სიტყვების მარაგი ღარიბია, იმის გამო, რომ არ აქვთ განვითარებული ენისა და ხმის კვანძები, შეიმჩნევა დეფექტი სიტყვისა და სიტყვების წარმოთქმაში, გააჩნიათ კბილების არასწორი განლაგება და ა.შ. უფრო ხშირად ბავშვის ფსიქიკური განვითარების დონეს განსაზღვრავს მისი მეტყველების განვითარება.

ასეთი ბავშვების ხმის დაყენება და მეტყველების განვითარება ხორციელდება ლოგოპედის მიერ, მაგრამ ბევრი რამ დამოკიდებულია მშობლების ძალისხმევაზე. მათ შეუძლიათ თავიანთ ბავშვს დამოუკიდებლად ჩაუტარონ ტანვარჯიშული და სპეციალური ვარჯიშები. მათ შორის სუნთქვის განმავითარებელი ვარჯიშები. ყოველივე ამის შესახებ მშობლებს შეუძლიათ მიიღონ სასარგებლო რჩევები მკურნალი ექიმისაგან, ლოგოპედისაგან, და რა თქმა უნდა, იმ სპეციალური ლიტერატურიდან, რომელიც ეძღვნება ბავშვის მეტყველების განვითარებას.

# ძალადობის ფაქტები შშმ ბავშვთა და მოზარდთა დაწესებულებებში

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია - DRI შშმ ბავშვთა და მოზრდილთა შესახებ 2010-2013 წლებში ჩატარებული კვლევის შედეგებს აქვეყნებს.

2010 წლის ივლისიდან 2013 წლის სექტემბრამდე DRI-იმ (**Disability Rights International)** საქართველოს რეზიდენტულ დაწესებულებებში მოთავსებულ შშმ ბავშვთა და მოზრდილთა უფლებების დარღვევის ფაქტები გამოავლინა. ასევე, 21 სახელმწიფო ბავშვთა სახლში აღსაზრდელების მდგომარეობა შეისწავლა.

კვლევის მიხედვით, თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში, პერსონალი აღნიშნავს, რომ შშმ ჩვილი ბავშვები მოკლებული არიან სიცოცხლის გადარჩენისთვის საჭირო სამედიცინო მზრუნველობას, რადგან, ექიმები ფიქრობენ, რომ ბავშვებს არ ექნებათ კარგი მომავალი. ამიტომ თანამშრომლები ზოგჯერ ბავშვების სიკვდილს აკვნებში ელოდებიან.

2009-2010 წლების 18-თვიან პერიოდში ადგილობრივმა ორგანიზაციამ „საქართველოს ბავშვები„ თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში აღრიცხა შშმ ბავშვების 30% სიკვდილიანობა.

თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის პერსონალმა საერთაშორისო ორგანიზაციას მოახსენა, რომ 2013 წელს ბავშვთა უმრავლესობა იღებს მომსახურებას და სიკვდილიანობა მკვეთრად დაეცა. მაგრამ 2013 წლის სექტემბრის ვიზიტის დროს ჩვილ ბავშვთა სახლში DRI-იმ ბევრი ბავშვი აღმოაჩინა, რომელსაც სამედიცინო მომსახურება კვლავ არ უტარდება.

ორგანიზაცია «საქართველოს ბავშვების» თანახმად, ჩვილ ბავშვთა სახლში ბავშვები, რომლებსაც აქვთ ჰიდროცეფალია და ზურგის ტვინის თიაქარი უფრო ხშირად რჩებიან სამედიცინო დახმარების გარეშე.

DRI-ის ვიზიტებს შორის 4-თვიანი პერიოდის განმავლობაში 2012 წელს ჩვილ ბავშვთა სახლში ჰიდროცეფალიით დაავადებულ ბავშვთა 50% გარდაიცვალა (5-იდან 10 ბავშვამდე).

2013 წლის სექტემბერში DRI-ის მკვლევარებმა ჰიდროცეფალიით დაავადებული 2 წლის აკვანში მყოფი ბავშვი მოინახულეს: „თავი კალათბურთის ბურთის ხელა ჰქონდა, პერსონალმა აღნიშნა, რომ ამ ბავშვის ტკივილის გამაყუჩებელი ერთადერთი მეთოდი იყო საძილე აბები“.

რაც შეეხება სენაკის ბავშვთა სახლს, სადაც უფრო მოზრდილი შშმ ბავშვები ცხოვრობენ, DRI-იმ აღწერა რამდენიმე დასუსტებული ბავშვი, რომლებიც, პერსონალის თქმით, საწოლს იყო მიჯაჭვული და მთელ დღეს ასე ატარებდა.

გარდა ამისა, კვლევაში წერია, რომ ორგანიზაციამ დაწესებულების ბნელ უკანა ოთახში 7 წლის მარტო მყოფი, გამოფიტული გოგონა აღმოაჩინა: „გოგონა დაფარული იყო ნაწოლებით და ატროფირებული კიდურები ჰქონდა. ის DRI-ის ვიზიტის შემდეგ ერთ თვეში გარდაიცვალა“.

რაც შეეხებათ მოზრდილებს, კვლევაში წერია, რომ მათ ჩვეულებრივ ჩამორთმეული აქვთ ქმედუნარიანობის შესაძლებლობა და მოთავსებული არიან სახელმწიფოს მეურვეობის ქვეშ - პროცესი, რომელიც არ აძლევს პირს თავის ფინანსური, ლეგალური და პირადი ცხოვრების კონტროლის უფლებას.

DRI-იმ დაწესებულებაში მცხოვრები სამი წყვილი აღრიცხა, რომლებიც ყოველგვარი იურიდიული გადახედვის გარეშე ძალით დააშორეს ახალშობილ ბავშვებს.

ორგანიზაციის დაკვირვებით, დაწესებულებებში თითქმის არ არსებობს რეაბილიტაციის პროგრამები. ერთი დაწესებულების მცხოვრებლებმა DRI-ის დაუდასტურეს, რომ ერთადერთი რისი გაკეთებაც მთელი დღის განმავლობაში შეუძლიათ, ქსოვა და მუსიკის მოსმენაა. ორი მოზრდილთა ინსტიტუციის დირექტორების თქმით კი, რეზიდენტები ხშირად იძულებული არიან უფასო სამუშაო შეასრულონ, ამას კი „სამუშაო თერაპიას„ ეძახიან.

კვლევის ავტორების ინფორმაციით, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისმა აღნიშნა, რომ ზოგჯერ თანამშრომლებს რეზიდენტები სახლში ა ნ ფერმაში სამუშაოდაც მიჰყავთ.

საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციით, აუცილებელია, ბავშვების და მოზრდილების დეინსტიტუციონალიზაციისთვის საქართველოს მთავრობამ გამოყოს ფინანსები და შექმნას თემზე დაფუძნებული ალტერნატიული მომსახურება; ამასთან კერძო და საეკლესიო დაწესებულებების ჩათვლით, ბავშვთა ყველა დაწესებულება დაიხუროს.

http://www.liberali.ge/

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგების შეფასების შემდეგ საქართველოს არასამთავრებო ორგანიზაციებმა პეტიციით მიმართეს საქართველოს პრემიერ მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, რომელსაც ვბეჭდავთ უცვლელად.

გაგრძელება →

**საქართველოს პრემიერ-მინისტრს**
**ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს**

**არასამთავრობო ორგანიზაციების პეტიცია**

## გადავარჩინოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები

**2013 წლის დეკემბერში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შშმპ) საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციამ, Disability Rights International (DRI), გამოაქვეყნა ანგარიში საქართველოში შშმ ბავშვთა და მოზარდთა სახელმწიფო რეზიდენტულ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესახებ. ანგარიშმა გამოავლინა შოკისმომგვრელი დარღვევები, კერძოდ:**

- ჰიდროცეფალიით დაავადებულ ბავშვებს არ უტარდებათ ადეკვატური მკურნალობა, ამის გამო ისინი 6 წლის ასაკსაც ვერ აღწევენ, მათ არ აძლევენ ტკივილგამაყუჩებლებს, რაც უტოლდება არაადამიანურ მოპყრობას და წამებას.

- სახელმწიფო არ ფლობს ინფორმაციას იმ ბავშვებზე, რომლებიც განთავსებულნი არიან საპატრიარქოსთან არსებულ ბავშვთა სახლებში. საუბარია დაახლოებით 1500 არასრულწლოვანზე. სახელმწიფომ არ იცის მათი არც ზუსტი რაოდენობა და არც ის პირობები, რომელშიც ეს ბავშვები იმყოფებიან, რაც ქმნის ბავშვთა ტრეფიკინგის მაღალ რისკს.

- შშმ პირები იზოლირებულები არიან საზოგადოებისაგან, მათ არ ეძლევათ ოჯახური ცხოვრების საშუალება. შშმ პირებს ართმევენ საკუთარ შვილებს და გადაჰყავთ ისინი სხვა დაწესებულებებში.

- შშმ პირებისათვის არ არსებობს სარეაბილიტაციო პროგრამები. ეს ადამიანები ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი. ადგილი აქვს მათ იძულებით შრომას დაწესებულების თანამშრომლების მიერ.

- ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმა, რომელმაც დახურა ე.წ. ბავშვთა სახლები და მცირე საოჯახო ტიპის სახლებში გადაანაწილა არასრულწლოვნები, ფაქტობრივად არ შეხებია შშმ ბავშვებს.

აღნიშნული უფლებადარღვევების შესახებ ნათქვამია ასევე საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში.

პეტიციის ხელმომწერი არასამთავრობო ორგანიზაციები და ადამიანები მოვითხოვთ, მთავრობამ შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები: აღმოფხვრას დარღვევები და დისკრიმინაციული მოპყრობა შშმ პირების მიმართ; შექმნას მონიტორინგის სისტემა და შეისწავლოს ყველა ბავშვის მდგომარეობა, რომელიც იმყოფება სახელმწიფოს თუ საპატრიარქოსთან არსებულ ბავშვთა დაწესებულებებში, მიუხედავად ამ სახლების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ფორმისა; ჩართოს შშმ პირები დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამაში.

პეტიციის ხელმომწერი არასამთავრობო ორგანიზაციებია:

1. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)
2. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG)
3. კავშირი საფარი
4. სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CIDA)
5. საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)
6. ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის (AEE)
7. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
8. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)
9. დამოუკიდეველი ცხოვრების ახალგაზრდული ცენტრი (YCIL)
10. კონსტიტუციის 42-ე მუხლი
11. კავშირი ქალი და რეალობა
12. ორგანიზაცია „ვიმეგობროთ“
13. მედიის განვითარების ფონდი (MDF)
14. ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)
15. თავისუფლების ინსტიტუტი
16. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია
17. ფონდი ALPE
18. LGBT საქართველო
19. იდენტობა
20. კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის
21. ქალთა ფონდი საქართველოში (WFG)
22. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა მშობელთა და პროფესიონალთა კავშირი «ჩვენი ბავშვები».
23. ასოციაცია «ერთად»
24. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)
25. ასოციაცია ქალი, ბავშვი და საზოგადოება.
26. წეროვანის ახალგაზრდული სახლი
27. ორგანიზაცია უკეთესი მომავლისათვის
28. ასოციაცია მრავალეროვანი საქართველოს ქალები
29. საქართველოს რუს ქალთა კავშირი
30. კავშირი „იმედი +“

MEDFM 100.3
პირველი სამედიცინო რადიო
ტელ.: 2 42 10 03

ყოველ ხუთშაბათს 17:00 სთ.-დან 18:00 სთ.-მდე
მაია ასლაშვილის საავტორო ეადაცემა
„ადამიანები ანსხვავებული შესაძლებლობებით“

## რეაბილიტაცია

**ხერხემლის ოსტეოხონდროზის მწვავე პერიოდში ჩასატარებელი სამკურნალო ტანვარჯიშის სანიმუშო კომპლექსი**

**შენიშვნა – ვინაიდან აღნიშნული სანიმუშო კომპლექსი შედგება 26 ვარჯიშისაგან, ვყოფთ ორ ნაწილად. მეორე ნაწილს შემოგთავაზებთ ჟურნალის მომდევნო ნომერში**

საწყისი მდგომარეობა (ს.მ.) ზურგზე წოლა. ტერფების ერთდროული მოხრა-გაშლა.

ს.მ. ზურგზე წოლა. მუხლის სახსრებში ფეხების მორიგეობით მოხრა და გაშლა.

ს.მ. ზურგზე წოლა. ხელების მორიგეობით მაღლა აწევე შემდგომში მათი გაჭიმვით.

ს.მ. ზურგზე წოლა. მარცხენა ფეხი მოხრილია. მარჯვენა ფეხის გვერდზე გაწევა. ვიმეორებთ რამდენჯერმე. ასევე კეთდება მარცხენა ფეხით..

ს.მ ზურგზე წოლა. ხელები მივიტანოთ მხრებთან. ვაკეთებთ იდაყვის სახსარში მოხრილი ხელების წრიულ მოძრაობებს.

ს.მ. ზურგზე წოლა.მარცხენა ფეხის იდაყვით ეყრდნობა მუცელს.მარხვენა ფეხის მაღლა აწევა. რამდენიმე გამეორების შემდეგ იგივე მოძრაობა კეთდება მარცხენა ფეხით.

ს.მ. ზურგზე წოლა. მენჯის აწევა რაც შეიძლება მაღლა.

ს.მ. ზურგზე წოლა..ფეხები მოხრილია მუხლის სახსარში. ხელები აწყვია მუცელზე. მუცლისა და თავის წინზნექი.

ს.მ. ზურგზე წოლა. დუნდულების დიდი კუნთების სტსტიკური დაჭიმვა. (ვაყოვნებთ 4-5 წამი).

ს.მ. ზურგზე წოლა. ფეხები მოხრილია ორივე ფეხის ერთდროული მოხრა მუცელთან მიტანით.

ს.მ. მუხლებზე დგომი.დავჯდეთ ქუსლებზე, ისე, რომ ხელები არ მოვაცილოთ სკამს. (ტაბურეტს, დივანს და ა.შ.).

ს.მ. მუხლებზე დგომი. ფეხები. ოდნავ განზეა გაწეული. ორივე ხელის განმკლავი. წელში ტრიალი მარჯვნივ და მარცხნივ ხელების ქნევით.

ს.მ. მუხლებზე დგომი. ხერხემლის გაზნექი, საწყის მდგომარეობაში დაბრუნებით.

## სპეციალური ვარჯიშთა კომპლექსი (ცერებრული დამგლის მქონე პირთათვის)

**№ 1 ვარჯიში.**
**„თავის გამართვა“**
**ძირითადი მიზანი:** ზურგის და კისრის კუნთების განვითარება, პათოლოგიური რეფლექსების ჩაქრობა. საწყისი მდგომარეობა (ს.მ.) მუცელზე წოლა. ხელები მოხრილია იდაყვის სახსრებში და ხელის მტევნებით ვეყრდნობით იატაკს.
**დავალება**: მაქსიმალურად გავმართოთ თავი და დავიჭიროთ (დავაფიქსიროთ) 3-10 წამი. ხელებზე ყრდნობიდან ვბრუნდებით საწყის მდგომარეობაში. ვარჯიში სრულდება 5-7-ჯერ.

**№ 2 ვარჯიში**
**“გამართულ ხელებზე ყრდნობით თავისა და ტანის მოხრა-გამართვის სწავლება”.**
**ძირითადი მიზანი**: იატაკზე ყრდნობით გამართულ ხელებზე სხეულისა და თავის ერთდროული გამართვა, კისრის ტონური რეფლექსების გაქრობა. (ს.მ.) მუცელზე წოლა. ხელები მოხრილია იდაყვის სახსრებში.. ხელის გულებით ეყრდნობა იატაკს.
**დავალება**: თავის (კისრის) და ტანის მაქსიმალური გაზნექა. გამართული ხელების იატაკზე ყრდნობით ასეთი მდგომარეობა დავაფიქსიროთ 5-10 წამი. შემდეგ დავუბრუნდეთ საწყის მდომარეობას. გავიმეოროთ 5-10-ჯერ.

**№ 3 ვარჯიში**
**ვარჯიშის მიზანი:** მომხრელი სინერგიის ჩაქრობა, კისრისა და ტანის გამმართვერლების გამაგრება.
ს.მ. მუცელზე წოლა, ხელები ტანის გასწვრივ.
დავალება: ერთდროულად ავწიოთ თავი და ფეხები მათი მაქსიმალურად გამართვამდე. გავიმეოროთ 5-10-ჯერ.

**№ 4 ვარჯიში**
**ვარჯიშის მიზანი:** კიდურების, მკერდის, მუცლის სპაზმური კუნთების გაჭიმვა. სახსრების კონტრაქტურის მოსპობა.
ს.მ. მუცელზე წოლა
**დავალება**: ხელებით დავიკავოთ ფეხები კოჭების ადგილში. მაქსიმალურად გავზნიქოთ თავი, ტანი და ფეხები. გავიმეოროთ 4-5-ჯერ.

**№ 5 ვარჯიში**
**ვარჯიშის მიზანი:** ზურგის და მუცლის გამშლელი კუნთების მოდუნება, გამართვის რეაქციის ნორმალიზება, ამ აღნიშნული კუნთების გამაგრება.
ს.მ: ზურგზე წოლა.
**დავალება**: ეცადოს დაჯდეს ინსტრუქტორის დახმარებით და მაქსიმალურად მოღუნულმა წინზნექი გააკეთოს გამართულ ფეხებზე. შესრულდეს 6-8 ჯერ. მოძრაობა კეთდება ნელა, ბიძგების გარეშე.

**№ 6 ვარჯიში**
**ვარჯიშის მიზანი:** ტონუსის შემცირება და მუცლის ირიბი კუნთების გამაგრება.
ს.მ. ზურგზე წოლა ფეხები მოხრილია სწორკუთხად მენჯბარძაყისა და მუხლის სახსრებში. ხელების განმკლავი. ხელებით ვაწვებით იატაკს.
**დავალება**: ფეხევის მარჯვნივ და მარცხნივ ტრილაი უარამდე, ისე, რომ მხრები არ ასხცილდეს იატაკს. შესრულდეს 10-12 ჯერ. მეთოდიატი აფიქსირებს ბავშვის მხრის სარტყელს.

**№ 7 ვარჯიში**
**ვარჯიშის მიზანი.** ტონუსის შემცირება და მკერდისა და მუცლის კუნთების გაჭიმვა.
ს.მ. მუხლებზე დგომი. ხელები ტანის გასწვრივ (ხელები ჩამოშვებულია).
**დავალება**: ნელნელა გავიზნიქოთ უკან (უკუზნექი), თვლაზე 1-4,, თითებით შევეხოთ ქუსლებს. 3-4 წმ. პაუზის შემდეგ დავუბრუნდეთ საწყის მდგომარეობას. შესრულდეს 6-8 ჯერ. უკუზნექი სრულდება ნელ-ნელა, ხერხემლის წელის და მკერდის ნაწილის ხარჯზე.

**№ 8 ვარჯიში**
**ვარჯიშის მიზანი:** ფეხების და ზეტანის კუნთების მოდუნება.
ს.მ. — ზურგზე წოლა.
**დავალება**: გამართული ფეხების მოხრა და გაშლა. შრულდება 10-12 ჯერ.მოძრაობა კეთდება სწრაფ ტემპში მეთოდისტის დახმარებით.

**№ 9 ვარჯიში**
**ვარჯიშის მიზანი:** მუცლის და წელის კუნთების მოდუნება
ს.მ.: მუხლებზე დგომი.
**დავალება**: ყკუზნექი ზურგით იატაკზე შეხებამდე., შევაყოვნოთ 2 -3 წამი და დავბრუნდეთ საწყის მდგომარეობაში. მოძრაობა კეთდება ანმიმდევრულად. სრულდება 6-8 ჯერ. მეთოდისტს უჭირავს მუხლები და ხელით ეხმარება წელზე.

**№ 10 ვარჯიში**
**ვარჯიშის მიზანი:** წონასწორობის და გასწორების რეაქციის გამომუშავება, კონტრაქტურული გამოხატულების შემცირება
ს.მ.: სწორ კედელთამ ფეხზე დგომი.
**დავალება**: ზურგით კედელზე სრიალით ჩავჯდეთ ფეხების სწორ კუთხით მოხრამდე და დავბრუნდეთ საწყის მდგომარეობაში. შესრულდეს 10—12 ჯერ. ვარჯიში სრულდება ნელ ტემპში ისე, რომ არ დაირთღვეს თავის, ტანის და კიდურების მდგომარეობის სიმეტრია.

თეიმურაზ პეტრიაშვილი

## დიდი მეფის და სეჩდიის სიკვდილი

**ქართლ–კახეთის მეფე ერეკლე II (**დაიბადა 1720 წლის 7 ნოემბერს**,** თელავში – გარდაიცვალა 1798 წლის 11იანვარს**,** იქვე**,** დაკრძალულია მცხეთაში**,** სვეტიცხოვლის ტაძარში**.**

ერეკლე მეფე ავადმყოფობის შემდეგ თელავში გარდაიცვალა. თურმე იმ ტახტზე, რომელზეც დაიბადა. 40 დღე გლოვობდნენ ქვეშევრდომნი მის აღსრულებას. სვეტიცხოველში, მის საძვალეში უნდა დაეკრძალათ მეფე, მაგრამ თბილისში ვერ შემოასვენეწს, მცხეთამდე ახლობლებმაც ვერ მოაცილეს. კახელებმა ავჭალის მიდამოში, სვეტიცხოვლის მოპირდაპირე მხარეს, არაგვის პირას დადგეს კუბო და დაემშვიდობნენ ძვირფას ცხედარს. გაღმიდან მცხეთელებმა ფეხით გადმოლახეს არაგვი. კუბოსთან დაიჩოქეს და თაყვანი სცეს. ნელა ასწიეს. ისე გადაიტანეს არაგვზე, თითქოს ცდილობდნენ, არ გაეღვიძებინათ ხალხზე ფიქრით დაღლილი მოხუცი მეფე. მცხეთისკენ წაასვენეს.

სვეტიცხოველში დაკრძალვას კახეთიდან მხოლოდ მისი კარის მოძღვარი (კეჟერაშვილი–ბადრიძე) დაესწრო და ყველა ქრისტიანული რიტუალი შეასრულა. ეს ასე იმიტომ მოხდა, იმიტომ ვერ დაკრძალეს მეფე ღირსეულად, რომ თბილისსა და ქართლის სხვა ადგილებში შავი ჭირი მძვინვარებდა და სვეტიცხოვლის ეზო და ტაძარი ავადმყოფებით იყო სავსე. ეპიდემიის შეღწევის საფრთხე კახეთსაც ემუქრებოდა.

ისიც არაა მართალი, რომ პროცესიას 20 ათასი შეიარაღებული მებრძოლი აცილებდა. ეს რუსი ისტორიკოსის მოგონილია ქართველთა დასამცირებლად.

დაკრძალვაზე უამრავი ხალხი მოგროვდა, მაგრამ 20 ათასი შეიარაღებული ქართველი ნამდვილად ვერ იქნებოდა ამ დროს კახეთში. მით უმეტეს, ჭირიანობის გამო ქართლიდან კახეთში გადასვლა აკრძალული იყო.

ამთ გვეუბნებიან – აი ქართველები, რა ხალხი ხართ! ომში ათასიც არ მიეშველეთ მეფეს თქვენივე ქვეყნის დასაცავად, მიცვალებულთან კი 20 ათასი მიხვედითო.

და ამ ჩვენთვისვე დამამცირებელ ტყუილს ზოგჯერ ქართველებიც ვიმეორებთ!

თამილა შეუჯენი

## მეთერთმეტე კლასელის ბაშოპონება

***მეთერთმეტე კლასელმა პაველ კურბატსკიმ ქალაქ არმავირიდან გამოიგონა ხელჯოხი უსინათლო ადამიანებისათვის, რომელსაც გააჩნია ნავიგატორი და პატრონს ატყობინებს მის წინ აღმარტული წინააღმდეგობების შესახებ და კარნახობს უფრო ხელსაყრელ გზას. ხოლო სულ ახლახანს, მან გამოიგონა კიდევ ერთი***, ეგ***რე***თწოდებული პროგრამულ-აპარატიანი სათვალე, რომლის მოქმედების პრინციპი ძალიან უბრალოა. საჭირო ადგინზე (მაგალითად სხვადასხვა დაწესებულებების კაბინეტებზე, ან საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფანჯრების მინებზე) აყენებენ მინიატურულ ელექტრონულ გადამცემ-ინფორმატორებს. გამოსაყენებელი სათვალეებიდან, რომელსაც ჩამონტაჟებული აქვს

დინამიკები, მხედველობის დაქვეითების მქონე ადამიანები ისმენენ ამ აპარატის მიერ გამოცემულ სიგნალებს – მაგალითად, „ქალაქის მერის მისაღები„, „N9 ავტობუსი, რომელიც მიდის ბაგებში ჭავჭავაძის გამზირის გავლით„ და ა.შ. ამ სათვალის პატრონს ისღა დარჩენია, რომ გაყვეს სიგნალის ხმას.

ეს ჯადოსნური სათვალეები უკვე გამოსცადეს და ძალიან კმაყოფილი დარჩნენ შედეგით. საჭიროა მხოლოდ მისი სერიული გამოშვება.

თქვენს წინაშე უნიკალური ოპერაციის ერთ–ერთი კადრია. ბავში ქირურგს ხელს უჭერს თითზე. დედის საშვილოსნოდან ხელი გაუწოდა და მოუჭირა, თითქოს შველას ითხოვდა. ბავშვი სულ 21 კვირის იყო. ეს ის ასაკია, როდესაც იურიდიულად აბორტის გაკეთევა შეიძლება. ეს ფოტოსურათი გადაღებულის ამერიკაში, ოპერაციის დროს.

## დააფასეთ დედის სიყვარული

ადამიანის სხეულს შეუძლია მხოლოდ 45 დელ. დონის ტკივილის ატატა (გაძლება), მაგრამ როდესაც ქალი მშობიარობს, ამ მშობიარობის პროცეს-

ში, ქალი გრძნობს და იტანს 57 დელ. ტკივილის დონეს. ეს არის იმის მსგავსი ტკივილი, რომ ადამიანს 20 ერთნაირი აგებულების ძვალი ერთდროულად გადაუტეხონ. ჩვეულებრივ პიროებში მსგავსი ტკივილის ატანა თითქმის შეუძლებელია.

ასე რომ, გვიყვარდეს ჩვენი დედები! ყველაზე ლამაზი, მშვენიერი და ჩვენთვის ყველაზე თავდადებული ადამიანები. ისინი ჩვენი ყველაზე დიდი კრიტიკოსები არიან, რითაც ჩვენდამი ყველაზე დიდ სიყვარულსა და მხარდაჭერას ამტკიცევებ.

ნუ მოიკლებთ დედის მოალერსების განცდას. მოეფერეთ და დააფასეთ დედის სიყვარული.

## ხიდის ისტორია

ალავერდი-ხან უნდილაძე ჭკვიანი, გამოცდილი და განათლებული პიროვნება იყო. მისი დამსახურებაა ისპაჰანში – მაშინდელ დედაქალაში მდინარე ზაიანდე-რუდზე, რომელიც ქართულად დედა მდინარეს ნიშნავს, ოცდაცამეტ თაღიანი ხიდის აშენება. იგი ამჟამადაც ფუნქციონირებს და მის სახელს ატარებს. ხიდი ორსართულიანია, კედლები თხელი ქართული აგურით არის ნაშენი. ზედა სართულს ამშვენებს რამდენიმე ძალიან ლამაზი გუმბათი, იგი დაახლოებით 100 მეტრის სიგრძისაა. ქვედა სართულზე გაკეთებულია შეჭრილი ოთახები, რომლებშიც ჩაიხანებია გახსნილი. ეს გრილი და სასიამოვნო ადგილი ყოველთვის სავსეა ტურისტებით, თუ ადგილობრივი მაცხოვრებლებით, რომლებიც ჩაის სვამენ და ყალიონსეწევიან. უნდილაძის მიერ აშენებული ხიდის 33 თაღი შეესაბამება ქართული ანბანის 33 ასოს, თითოეულ თაღზე თითო ქართული ასოა გამოსახული. ისპაჰანი ყველაზე ლამაზი ქალაქია მთელს ირანში, განსაკუთრებით მდინარე «ზაიანდე რუდის» სანაპიროები, სადაც გაშენებულია ძალიან ლამაზი ბაღები თავისი გაზონებით, რომლებსაც შადრევნები ამშვენებს.

ალავერდი-ხან უნდილაძის მიერ აგებული 33 თაღიანი ხიდი ისპაჰანში, მდინარე „ზაიანდე რუდზე“

## უსიყვარულოდ ადამიანი კვდება

ალბათ არ ვიქნები ორიგინალური თუ ვიტყვი, რომ ადამიანის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნილება სიყვარულია. უფრო სწორი ვიქნები თუ ვიტყვი, რომ ადამიანის აუცილებელი მოთხოვნილება სიყვარულის მიღება და გაცემაა. უსიყვარულოდ ადამიანი კვდება.

ამის საილუსტრაციოდ მოვიყვან ერთ მაგალითს, რომელიც ჩაატარა მე-13 საუკინეში რომის იმპერატორმა ფრიდრიხ მეორემ და, რომელიც შეფასებული იქნა კაცობრიობის ცხოვრების ისტორიაში ყველაზე საზარელ და ბარბაროსულ ექსპერიმენტად. ამ ექსპერიმენტით მას სურდა გაეგო თუ რომელ ენაზე ლაპარაკობდნენ ადამი და ევა ედემის ბაღში ერთად თანაცხოვრების დროს. მისი თეორიის მიხედვით, თუ ახლადდაბადებულ ბავშვებს იზოლაციაში მოვაქცევთ ყოველგვარი სალაპარაკო ენისაგან, მაშინ, როდესაც გაიზრდებიან, ლაპარაკს დაიწყებენ კაცობრიობის “ბუნებრივი“ ენით. ასე ფიქრობდა იმპერატორი და ჩაატარა კიდეც ექსპერიმენტი. მან მშობლებს წაართვა ახლად დაბადებული ბავშვების განსაზღვრული რაოდენობა და გადასცა აღსაზრდელად იმ ადამიანებს, რომლებსაც აკრძალული ჰქონდათ ბავშვებთან ლაპარაკი, მათი მოფერება, ალერსი და თამაში. უფრო მეტიც. ამ ბავშვებს ემსახურებოდნენ სპეციალური ინსტრუმენტებით, რათა არ შეეგრძნოთ ადამიანის ხელის შეხებაც კი.

რა თქმა უნდა ფრიდრიხმა ვერ შეძლო თავის თეორიის დამტკიცება. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს რეგულარულად ასმევდნენ და აჭმევდნენ, ბანდნენ და აცმევდნენ, კვდებოდნენ მანამდე, სანამ ისწავლიდნენ ლაპარაკს. რატომ მოხდა ასე? რატომ იღუპებოდნენ ბავშვები? თანამედროვე მეცნიერები ამ ბავშვების სიცოცხლისუუნარობას პირველ რიგში უკავშირებენ სიყვარულის დეფიციტს, რომელიც არ გამოიხატებოდა ადამიანური შეხებით და ხმით.

ამრიგად, რთული და ხანდახან შეფარული ადამიანური მოტივების სისტემა ზემოქმედებს ჩვენს, როგორც ფიზიკურ, ასევე სულიერ ცხოვრებაზე.

ასე, რომ სიყვარული ღმერთისგან ნაბოძებია და უიმისოდ ადამიანი არ იბადება, მაგრამ პრობლემა იმაშია, რომ ამ საჩუქარს ჩვენ, ადამიანები, როგორ ვიყენებთ.

http://zazatsikoridze.wordpress.com/geopolitics/

ეს კიბეები მდებარეობს ვაკეში, ერთ–ერთ ხალხმრავალ უბანში, გალაკტიონის ძეგლის წინ მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში.

ამაზე იტყვიან – მტერს გულს უხარებს და მოყვარეს უკლავსო. უამრავი უცხოელი დადის ჩვენს დედაქალაქში. მათმა უმრავლესობამ კარგად იცის რისთვის და ვისთვის კეთდება პანდუსები. ისინი ამით აფასებენ ქვეყნის ცივილიზაციის დონეს. ასე ფიქრობენ – ის ქვეყანა ვარგა, რომელიც თავის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საკუთარი საზოგადოების განუყოფელ და სრულუფლებიან ნაწილად მიიჩნევსო. ჩვენ კი ერთი ნორმალური პანდუსი ვერ გაგვიკეთებია მათთვის.

ვაკე–საბურთალოს მერიას და გამგეობას ვთხოვთ, იქნებ მიაქციოს ყურადღება ამ საკითხს. ვიცით, რომ თქვენ უამრავ სასიკეთო საქმეებს აკეთებთ. ამის კეთება კი არანაკლებ სიკეთეში ჩაგეთვლებათ.

## მადლობა ჩინურ კომპანია „ფოხოუს“

ჩინური მედიცინა და მკურნალობის მეთოდები ოდითგანვე განთქმულია. კომპანია „ფოხოუ“-ს პროდუქცია ცნობილია მთელს მსოფლიოში თავისი უნიკალურობით, ბუნებრივი, მცენარეული შემადგენლობით, თანამედროვე მეთოდებითა და შედეგზე ორიენტირებული მკურნალობით.

კომპანიის მზრუნველობის ქვეშ თითქმის 1 წელია უსასყიდლოდ მკურნალობს ჩვენი ორგანიზაციის 3 ბენეფიციარი, რომელთაც სხვადასხვა ხარისხის ინტელექტუალური შეზღუდვა აქვთ. მოზარდებს დარღვეული ჰქონდათ წერის, კითხვისა და მეტყველების უნარ-ჩვევები.

ტვინის მკვებავი კაფსულების -„ლინჯის“, თხევადი კორდიცეფსის - „ორალ ლიქვიდის“, „ფენიქსისა“ და ჩაი „ბალზამის“ გამოყენებამ მკვეთრად გააუმჯობესა ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობა, გაუმჯობესდა მათი ფსიქო-ემოციური ფონი, ხელი შეეწყო ინტელექტუალური შესაძლებლობების, წერის, კითხვისა და აზროვნების განვითარებას.

დიდი მადლობა კომპანია „ფოხოუს“ ხელმძღვანელობას და მის თანამშრომლებს ასეთი მხარდაჭერისა და თანადგომისთვის.

**„სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია.“**

მკურნალობის მეთოდებითა და მედიკამენტებით დაინტერესების მიმართვევაში, შესაძლებელია კომპანიის წარმომადგენელთან დაკავშირება.

**საკონტაქტო პირი: მაია ებრალიძე 595 21 77 01.**

ი. 65/1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი სახლია

# გალაქსი